

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თბილისი, ნიკოლოზ ქ. № 44.

მომზაშნი

რედაქცია ღიარ ყოველ დღე: ღილის 10 საათ, შუადღის 1 საათამდე, და საღამომს: 6 სათ. 7 საათამდე.

სოციალ-დემოკრატიული შუახალი

№ 17.

კვირა, 8 მაისი 1905 წლისა.

№ 17.

რედაქციისაგან: რადგანაც „მოგზაურის“ 8, 14 და 16 ნომრები სრულებით აღარ მოიპოვებ რედაქციაში, ამიტომ ახალი ხელის მომწერლები დასახელებულ ნომრებს ვუღარ მიიღებენ.

„მოგზაურის“ რედაქცია მკითხველების საყურადღებოთ აცხადებს, რომ მახლობელ ნომრიდან დაიწყება კლარა ქუციანას ცნობილ ბროშურის პუბლიკაცია: „ქალი და მისი ეკონომიური მდგომარეობა“ რომელიც, შემდეგ ცალკე წიგნაკათ გამოვა.

რედაქციისაგან: ამ ნომრისათვის დამხადებული წერილები რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიხედვის განმარტებებს იბეჭდება.

შინადასი: ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები, ა. წულუკიძისა. — ოფიციალური ცნობა. — სხვა და სხვა ამბები. — კორესპონდენტები. — რუსეთის ქრონიკა. — უცხოეთის ქრონიკა. — შინაური მიმოხილვა. — ფელეტონის მაგიერი, თაგუნასი. — ყურანალ-გახეთებიდან. — იფფისინი მადლობა. მ. თეკლაველისა. — ქუთათურის შენიშენები, ისოსი. — საფრანგეთის ისტორიიდან. — ანისა. — ნიღბ აფრებული ქართველი პედაგოგები. — წერილი რედაქციის მიმართ, ი. ნ.

ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები.

ჩვენი ნაციონალისტები ეროვნულ ავტონომიას თხოულობენ. რა მოსახრებთ? ჩვენი ერთი განსხვავება რუსეთისაგან, ეროვნული განსხვავება პადებს განსაკუთრებულ ეროვნულ საჭიროებას, ამ საჭიროებას განსაკუთრებული ყურადღება ექირვება, შესაფერი მოქმედება და შესაფერი კანონმდებლობა. შეუძლია ამ მოთხოვნის დამაკრფილება რუსეთში მყოფ მთავრობას, შორეულ ადგილის მოქმედ პარლიამენტს, სადაც მხოლოდ რამდენიმე ქართველი იჩნება წარმომადგენლად? რასაკერძოდა არაო, — გვიპასუხებენ ჩვენი ავტონომისტები. შეუძლებელია იმ ადამიანებმა, რომელთაც ნაკლებ ან სულ არ იციან აქაურ შევიდრთა ადამთი, აქაური ცხოვრების საჭიროებანი, ეს საჭიროებანი დააკმაყოფილონ. არა თუ ვერ შეიძლებენ მარტო, არც მოსურვეტენ, რადგან, რაც არ იცი იმაზე ყოველთვის ნაკლებ ზრუნავ, მით უმეტეს თუ ეს უცნობი რამ სხვა ეროვნების ხალხს შეეხება. ამიტომ ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა საკუთარი პარლამენტი კავკასიაში; ეს პარლამენტი გამოსცემს საჭირო კანონებს ქართველი ხალხისათვის, უფრო შეიგნებს თავის ქვეყნის მოთხოვნისებებს, შეტარ იგონებს თავის თანამემამულეების ტვივილებს და შესაფერ მალამოსაც დასდებს. ის დაგვიცავს

ეროვნული შევიწროებისაგან და თვით ერთი დაამყარებს ძობას, ერთობას და სიყვარულს. ასე ბეობენ ჩვენი ნაციონალისტები.

მართალია ეს? მართალია, თუ ერთ მივიწვევთ ქართველ ბურჟუაზიას, ერის უმცირეს ნაწილს, შემცდარია, თუ შრომელი ხალხის ინტერესებს აღვიარებთ საერთო, ერის უმრავლეს ნაწილისათვის გვიდა ზრუნვა და მოქმედება. განვიხილოთ, როგორია, შრომელი ხალხის, პროლეტარიატის ინტერესები, მართლა მთითხოვს ეს ინტერესები ეროვნულ გამოთიშვას, ანუ ვგრეთ წოდებულ ეროვნულ ავტონომიას თუ არა?

პროლეტარიატმა, როგორც საზოგადოებრივმა კლასმა, თვის კლასური ინტერესები უნდა დაიცოს, ამაში გამოხატება მისი შეგნება, გაცნობიერება. როგორ უნდა დაიცვას მან თვის ინტერესები? ის ქონებრივ არ შებრძოლებს ამა ქონებრივათ ძლიერს ბურჟუაზიას. ამ უკანასკნელს ბრძოლაში თანვე მისი ქონების წყალობით ხელს უწყობს, ზურგს უმაგრებს, დახმარებას უჩენს მთავრობა. პროლეტარიატს ძალას აძლევს, საბრძოლველათ წრთვის თვით ისტორიული მსვლელობა, აუცილებლობა. ის კაპიტალმა შეა და იგივე თავის მშობელს შებრძოლებს. კაპიტალისტი თვისდა უნებურათ სიმდიდრის ძიებაში იძულებულია თავისი მოწინააღმდეგე რიცხვით ამრავლოს, ერთათ თავი მოუყაროს და მით საშუალება მისცეს თავისი ინტერესების, მდგომარეობის, სოციალური ურთიერთობის შეგნების და გაცნობიერების. შეგნებული ერთობა — აი პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, მტრის საწინააღმდეგო ძალა. როცა ერთობის, ერთათ მოქმედების საჭიროება შეგნებულია, მას განხორციელება უნდა ცხოვრებაში, ამ ერთობას, ერთათ სამოქმედოთ გამოსვლას მოწყობა უნდა, ე. ი. ორგანიზაცია ექირება, ადგილობრივი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს ადგილობრივ საქმეებს, მხოლოდ კაპიტალისტებს შეერთებული პოლიტიკური ძალა აქვთ და საერთო, სახელმწიფო საქმეები მათ სასარგებლოთ წყდება. ამ ძალის წინააღმდეგ უძღურია განცალკევებული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების შეერთება საჭირო, პოლიტიკური პარტიის შექნა აუცილებელი ხდება, მხოლოდ მუშების პარტიას შეუძლია შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მქიდროთ შეკრულ კაპიტალისტების ძალას; აი ამ ძალის განმტკიცებას ცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, ერთი სიტყვით, ყველა მუშები განუტრეველათ ეროვნებისა. ამას ეუბნება მათი ინტერესები. ეს ძალა იკრებს და მაში მომწიფეობა ქართველებსაც გვიდევს. და აი სწორეთ ვხლავ, როცა მას მეთი სიმტკიცე, ერთობა, ამოძრავება ექირვება, გვეუბნებიან: განცალკევდით! დღეს, როცა საერთო ერთობით ცხებ შენძრეულა, მხოლოდ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაბნელებით; სწორეთ მაშინ როცა მის ბრუნვაში ერთ, რომ გვიმბაროთ

მომავალი პოზიცია, ნანგრევებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ, სწორედ მაშინ ამ ძალის და გავლენის მქონე ერთეულს არწმუნებენ: დიქსაქსენითო. ეგებ ეს დაქსაქსეთ არ მიანიხათ, ეგებ ამას განცალკევებით არ სთვლიან? მაშ გავარკვიოთ.

ჩვენმა ნაციონალისტებმა ორი გზა აირჩიეს ავტონომიის მისაღებათ: 1) დღესვე თხოვნით, 2) ხვალ კრებიდან მოთხოვნით. თუ პირველმა არ გაკრა, მეორეს უნდა შეეცადონ. თავის თავათ ცხადია, რომ თხოვნა, მუდარა ბრძოლას უარყოფს, მხოლოდ ავტონომიის იდეის გავრცელება ხალხში ქართველების გამოყოფის საქმეობას ქადაგებს. ამნაირათ ჩვენი ავტონომისტები დღევანდელი მოძრაობის მთავარი ძალის, მშრომელი ხალხის საშუალებას—ბრძოლას საქმით უარყოფენ. მხოლოდ მის შეერთებულ ძალას განცალკევებას უპირებენ. შედეგი? „ერთობის“ შესუსტება და ბიუროკრატიისაგან მოწყალეების მიღების იმედები. პირველიც და მეორეც მებრძოლთ ასუსტებს. ეს სრულიად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დღევანდელ ტაქტიკას და ამიტომ მას გასაძალიც არ ექნება, და რასაკვირველია, მხოლოდ ჩინებულათ ახსნათებს მის ავტორებს.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ცოტა ხნით, რომ ჩვენთვის ეროვნული ავტონომია ძალიან საქირაა, წარმოვიდგინოთ თანვე რომ ამ ავტონომიის ჩვენ დღესვე გვიწყალობებენ. მერმე? რასაკვირველია, ჩვენ ჩვენს საქმეების მოგვარებას უნდა შევედგეთ, ხოლო რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობა რუსებსავე უნდა მივანდოთ. თავი დავანებოთ იმის გამოკვეცას, თუ რა ეწვევა თვით რუსეთის მუშა ხალხს; ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის წეს-წყობილება იმნაირათ მოეწყოს, რომ დემოკრატიული მოთხოვნილებანი ფრთა შეკვეცილათ და დამახინჯებულათ დაქაყოფილან. თუ კი ჩვენს ნაციონალისტებს იმის შიში აქვთ, რომ რაც უნდა დემოკრატიული იქნეს სახელმწიფო, ეროვნულ კითხვაში მაინც რეტროგრადიან და სხვა ერების ეროვნული ინტერესები დაზარული და გათვლილი, მით მეტი საფრთხე მოვლის ამ ინტერესებს, თუ დღევანდელი დემოკრატიული მოთხოვნილებანიც საესებით არ განხორციელდა. ეს ხომ ცხადია, მკითხველო? მაშ რა გარანტია აქვთ ჩვენს ავტონომისტებს ავტონომიის დაცვისა, ძალდატანების თავიდან დახსნევის. გაიხსენეთ ფინლიანია. რა იქნა მისი „თავისუფლება“? თქვენც კარგათ მოგვსენებათ რა იქნა და რათ გაიქვლა. აქიდან ცხადია თავი და თავი საზარუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას. ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ ავტონომიის თხოვნა დღეს ამას ხელს უშლის და ამიტომ ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ. ასეთია ბოძებული, ნაჩუქარი ავტონომიის ბედი. ვნახოთ, როგორი იქნება კრებიდან წამოღებული ავტონომია.

რუსეთის დემოკრატიულმა პარლამენტმა ჩვენ ავტონომია მოგვანიჭა. ჩვენი „ქართული საქმეების“ მართვა-გამგეობას შევედგეთ, ჩვენი კანონები დავაწესეთ. როგორი იქნება მომავალი პოლიტიკური წესწყობილება? ბურჟუაზიული. რას ნიშნავს ეს? მართვა-გამგეობა ბურჟუაზიის ხელში იქნება და ისიც თავისი ინტერესების შესაფერი კანონების დაწესებას შეეცდება. რა არის უმთავრესი მიზანი ბურჟუაზიის? გამდიდრება. რით წვდება ამ მიზანს? საქონლის გასაღებით. როგორი საქონლის გასაღება შეუძლია ჩვენს ბურჟუაზიას? ჩვენი მრეწველობა განუვითარებელია, ტენიკურათ უკან ჩამორჩენილი და ამიტომ ჩვენს ბურჟუაზიას არ შეუძლია იაფი სა-

ქონელი შექნას, ღირსებით კარგი ნივთები დაიმუშავოს. ეს მას საშუალებას არ აძლევს სხვა ქვეყნების მრეწველობას კონკურენცია, მეტოქეობა გაუწიოს. მაშ რა ქნას? საზღვრები უნდა გაიზაროს, კონკურენცია უნდა გაიადვილოს მფარველობითი სისტემის საშუალებით.

ხალხი იძულებული ხდება გონჯი საქონელი ორკეც ფასათ შეიძინოს და მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება საშუალო ქირა მუშას რიცხვით მოემატოს, ნამდვილათ შეუმცირდება, რადგან მანეთიან საქონელში ორი მანეთი უნდა აძლიონ. ეს ერთი მხარე. რას გვიქანის მფარველობითი სისტემა გარდა ამისა; რას მოუტანს იგი კიდევ „თავისუფლ ერს“? ის რაც დღემდე რუსეთს მოუტანა. პროგრესის, წინსვლის დაგვიანება, მრეწველობის დაბალ საფეხურზე შეჩერება, რადგან ბურჟუაზიას არავითარი ძალა არ აიძულებს ტენიკის გაუმჯობესებას. ის უამისოთაც იოლათ წავა. ამნაირათ კაპიტალისტური წარმოების პირველი ხანა უნდა გავრძელდეს. პროლეტარიატი კი ვითარდება და კლასიურ ცნობიერებას ღებულობს. ამ ვითარებაში, მაშასადამე პირველის დაგვიანება აფერხებს და აგვიანებს მეორესაც. ამნაირათ ავტონომია პროლეტარიატს მის საუკეთესო იარაღს—კლასიურ შეგნებას უჩლუნგებს დროებით მაინც.

კლასიური განვითარების დაგვიანება—ეს ორი მხარე. მაგრამ ამას კიდევ მესამე ემატება, არა ნაკლებ საგრძნობელი და სავალალო პროლეტარიატისათვის. ქართველების ავტონომია, ქათველებისათვის საკუთარი კანონები, ქართველების განსაკუთრებული ინტერესები! დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო, მივალწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსეთი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურათ, ამხანაგურათ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი ერთი ინტერესებით გამსკეპულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ ესწრაფებან და მათ შორის უთანხმოებისა და უნდობლობის პირობები დლითი დღე ისპობა. მიუხედავათ იმისა რომ ქართველი და სომეხის ბურჟუაზია დღესაც კინკლაობენ, ქართველი და სომეხის პროლეტარიატი მჭიდრო კავშირით ვადაინასკენენ, ჩაქრა მათ ეროვნული განხეთქილების ცეცხლი, აი ამ დროს მოაქვთ ავტონომია და ეს ცეცხლი ისევ ღვივდება. აბა როგორ არ გაღვივდება? ქართველმა მუშამ საქარხნო კანონ-მდებლობისათვის ერთ პარლამენტში უნდა გასწიოს ბრძოლა, სომეხმა მეორეში (მაგრამ, მგანი, სომეხებს ჩვენი ნაციონალისტები პარლამენტის ნებას არც კი აძლევენ) მფარველობით სისტემას ერთი ერთგან უნდა წინააღმდეგდეს, მეორე მეორეგან და ასე ბოლომდე. ესეც რომ არ იყოს, ამ პაწია კავკასიაში შეერთებული პროლეტარიატის დანაწილება პოლიტიკურათ, სხვა და სხვა პირობებში ჩაყენება—რას მოასწავებს? ამას დღი განმარტება არ ექვირება, მკითხველო, თუ მოიგონებ ბაქოს ამბებს, ბათუმში სომეხ-ქართველ მუშათა შეტაკებას და სხვა საფულისხმიერო ფაქტებს.

ეგებ გვითხრან: ჩვენი პროლეტარიატი უფრო შეგნებულნი და რათ უნდა გავყვს და იჩანჩალოს შეუგნებელ ნაწილთან ერთათ? მაგრამ ჯერ ის მოსაზრება დაარღვიეთ, რომ ავტონომიისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი სახელმწიფო წესწყობილება დამყარდება რუსეთში. მგონი ამის უარყოფა შეუძლებელია. მხოლოდ თუ ეს ასეა მით უფრო საზარალოა შეგნებული ნაწილის ჩამოშორება საერთო საქმეში, მით უფრო ნაკლები იქნება იმ ნაწილის ძალა, რომელიც დღეს რუსეთში ფართო დემოკრატიული წყობილების დამყარებას ესწრაფვის. შეიძლება ისიც გვითხრან, ჩვენ უფ-

რო ჩამორჩენილები ვართ, ჩვენი პროლეტარიატი ნაკლებ შეგნებულა და ამიტომ მას განსაკუთრებული პოლიტიკური პირობებიც ეჭირებაო; მით უმეტეს არა! ჩემო შორდეს შეგნებულ და ძლიერ შეუგნებელი და უძლიერი ბურჟუაზიის თავისუფლათ საფუძველათ და გასაღწეათ?

როგორც ხედავთ პროლეტარიატს კრებიდან წამოღებული ავტონომიაც ცუდის მეტს არას მოუტანს, ბურჟუაზიას კი ბევრს რასმე. ამიტომაც არის ჩვენს ნაციონალისტებს „ბურჟუაზიული დემოკრატია“ რომ უწოდეს. მათ პირბადის ჩამოხდა ძალიან ეზარებათ და ჯავრი მოდისთ. დაე!

აბა რა ვქნათ, რომ რუსეთის პარლამენტში ჩვენს შესაფერ კანონებს ვერ გამოსცემენ, ჩვენს დედა-ენას ვერ დავცავენ, ჩვენს საჭიროებას ვერ იგრძნობენ, შემოგვიტყვენ „სიტყვით“ და „კალმით“.

ვის საჭიროებაზე ლაპარაკობთ, ვის შესაფერ კანონებზე ზრუნავთ, რომელ დედა-ენაზე ლაპარაკობთ?

იმ საჭიროებაზე, რომელზედაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი ზრუნავს, იმ კანონებზე, რომელიც ყველა მუშისათვის ერთნაირათ საზრუნავი და საბრძოლველია, იმ დედა-ენაზე, რომელზედაც ჩვენი პროლეტარიატი ლაპარაკობს, კითხულობს, გონებრივით ვითარდება და თავის კლასიურ ინტერესების იგნებს? თუ ამაზე ზრუნავთ ტყვილა შეწუხებულხართ ავტონომიის გამოგონებით. რამდენადაც პროლეტარიატის ძალა დანაწილდება იმდენათ ნაკლებ შემძირებს ის სამუშაო ღღეს ნაკლებ მოიმატებს სამუშაო ქირას, გაისუფთავებს ბინებს, თავს დაახვევს „ბატონების“ თვითნებობას. რამდენათ უფრო გამოითიშება საერთო მოძრაობიდან, მით ნაკლები ფარგალი აქვს მის მოქმედებას, რაც მის გონებრივ ვითარებას ზღუდავს, ასუსტებს. ეს სისუსტე კი მოასწავებს საკითხავი წინგების ნაკლებ მოთხოვნილებას, ერთმანერთი საზოგადოებრივ კითხვებზე საუბრის ნაკლებ ინტერესს, ე. ი. დედა-ენა ნაკლებ განვითარებას შესძლებს.

აი რამდენი ვარჩიეთ და კიდევ მეტიც რომ გავვერჩია ავტონომიის და პროლეტარიატის ინტერესებს ვერ შევარჩიებდით. დღევანდელ პირობებში პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახიფათოა. ამნაირათ ფარდა აიხადა. ნაციონალისტების ნამდვილი გულის პასუხი ყველასთვის ამკარათ, თვალსაჩინოთ გამოემჟღავნა.

ა. წულუკიძე.

P. S. ეს წერილი უკვე დამზადებული მქონდა, როცა ბ. ბ. კალმისა და განის სტატიები დიბეკდა „ცნ. ფურც.“-ს 1807 და 2808 №№-ში. ისინი მეტათ გაუგავრებით ჩვენს „უფიცობას“, „უზარობას“, „გაუგებრობას“ და სხ. ბ. კალამი გვეუბნება, როგორ ვერ გავგვიათ რომ ავტონომიურათ მართვა-გამგეობის დროს სადამოყენო საზღვრები ჩვენი საქმე არ იქნება, რომ საქონლის დაბაჟე ჩვენ არ შეგვიძლება, როგორ ვერ შეიტყვეთ ამდენ ხანს, რომ ავტონომიისა და ავტონომიათა კავშირის (ფედერაციის) წინააღმდეგ გამოლაშქრება დემოკრატის ზრინციბის ღალატია და არსად ამას არ ჩადიან დემოკრატებიო. ბ. კალამი ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობს სხვების შეუგნებლობაზე და დღითი დღე მეტ შეუგნებლობას იჩენს, ასეა ყოველთვის: კაცს, რაც სტიკია ის აგონდება. მოვახსენებთ ბ. კალამს, რომ ავტონომიის კალონიებისა ავტონომიური მართვა-გამგეობაა, მხოლოთ ალბერტ მეტენის სიტყვით: ავტონომიის სამინისტროებს თავისუფლათ შეეძლოთ ყოველთვის სადამოყენო გადასახადები დაეწესებიათ. თვით მეტროპოლიიდან (ინგლისიდან!) შემოტანილ საქელზედაც“. (Метень: Аграрный и рабочий вои-

рость въ Австрали и Новой Зеланди გვ. 20) ეს ერთი. მეორესაც მოვახსენებთ ბ. კალამს: ავტონომიის კოლონიები და ტასმანია 1901 წლის ხელშეკრულობით ფედერატიულ განწყობილებაში არიან ურთიერთ შორის და ფედერატიული მთავრობაც ყავთ. წარმოიდგინეთ, ბ. კალამო, ავტონომიის მუშათა პარტია, იმავე მეტენის სიტყვით, ძალიან ცუდი თვლით უყურებს ფედერატიულ მთავრობას, რადგან, მისი აზრით, ფედერატიული მთავრობა არ არის დემოკრატული და ყოველთვის გაგონებს იქონიებს ადგილობრივ თვითმართველობაზე (22)... „ამ ეამათ მის (ფედერაციის) შესაცვლელათ ფართო აგიტაციაა გამართული (იქვე. გვ. 21. შენიშვნა).

ბ-ნი განი იმასვე იმეორებს, მხოლოთ კალუკის სახელით, გვაშინებს და გვარცხვენს: ეს როგორ არ იცითო? რატომ გონია ბ-ნს განს, რომ ძარვდაშია კალუკის წერილს ჩვენ ვერ წავიკითხავდით, ეს რა ასეთი უხილაოი დოკუმენტი. ვაუწყებთ, ბ-ნ განს რომ კალუკის მოყვანილი ადგილი სრულიად არ არღვევს ჩვენსას, სულ უბრალო მოსაზრებით: ის ჩვენს ავტონომიაზე და აქაუო პირობებზე არ ლაპარაკობს! ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის კალუკი ამის შესახებ (გვეგონია, თქვენ არ დაგეთანხმებათ) მხოლოთ ჩვენ არც ისეთი ბრმა თავყანისმცემლები ვახლავართ ავტორიტეტების, რომ თუ ვერაშაში კალუკიმ თქვა, უკრიტიკოთ გავიმეოროთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მანებელია—ი მოკლეთ ჩვენი აზრი და ამ აზრის დასარღვევათ ავტორიტეტებსაც საბუთს მოვთხოვთ, უმეტეს თქვენისთანა უფხო მწერლებს. ავტ.

მ ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ც ე მ ბ ა

(„კავკაზი“, № 114).

30 ახრადს, საღამოს ათ საათზე, როცა სადგ. მარქაისზე მოვიდა საქონლის მატარებელი, თენგიზის ზღაგის უნტერ-აიტიკშია (ეს ზღაგა ლანდავს იტავს) დაიჭირა უბილეოა მგზავრა, რომელმაც უთხრა, სადგურ ბუღოგარის ახლოს ხადს ქვეშ სახლია თავმოყრილი და ხადის ავითქებას ახრებსო. საქონლის მატარებლის ბურ-კონდუქტორმაც დასძინა, როცა მატარებელი სადგ. ბუღოგარიდან მარქაისისაკენ შიდაოდა, გზაში ჩამოსტა ხუთი უნგობა კაცი და ამ ხადს ქვეშ ჩავიდა, რომელიც ამ დაჭერილმა მგზავრმა მოასწინაო. მგზავრისა და ბურ-კონდუქტორის სიტყვები ტყუილნათ გადასცეს სად. ბუღოგარის მორავ მოსმისხურეს და იქ შოთფ სამხედრო რატის უფროსის, რომელმაც გაეზახა ექვსი საღამო, უნტერ-აიტიკის უფროსობათ, რათა გაეფანტათ ხადს ქვეშ თავმოყრილი სახლი და; თუ სჯებრებას მოათხოვდა, იარაღე ეხმარათ. როცა საღამოები ერთი ვერსის მანძალზე მიუახლოვდენ ხადს, გაიგონეს მოახლოვებულ მატარებლის გამაფრთხილებელი სტეკნა. საღამოები ჩამოსიდადნენ ლანდავს და დაინახეს, რომ მატარებელმა საარულს უკლო და გაჩერდა. საღამოები სმქარათ წავადენ წინ, 200 ნაბიჯის მანძალზე მიუახლოვდენ ხადს და დაინახეს დაახლოვებით ას კაციისკან შემდგარი ბობო და შორადან დაუფიერეს—დააშაფინათ, თორემ თოფს ეკსერითო. საღამოები 150 ნაბიჯზე მიუახლოვდენ ხადს. მთვარეანა. დამე აყო. გარკვევით დაინახეს მდინარე ლაპარანს ნაბიჯზე თავმოყრილი სახლი და კიდევ დაუფიერეს, დააშაფინათო. მასუსათ ხადსადან თოფი გაჯარდა. მანის უნტერ-აიტიკშია უბრძანა საღამოებს სროლა დაეწყოთ. ამის შემდგავ სახლი ერთბაშათ არ დაშლა. მხოლოთ მანის გაიფანტა, როცა საღამოებმა დაუშორეს თოფის სროლა. თოფით შეიარაღებული სამი კაცი შეტა ვაგონის ზღაგთფორმსზე, გადმოკადეს იქიდან კონდუქტორი და გაიქცნ.

სრულდა რომ შეწყდა, ამონდა მოკლედი სსმა ადგილობრივი გლეხი და შეადი მსუბუქია დაქრიალა. შათ შორის თრა ადგილობრივი რემონტის მუშა და ერთი მძაქეთ დაქრიალი ბაქოს სდკურის ბაგაყის კონდუქტორია ნაქყოფი. გარდა ამისა, სსლდათუშა დაქრიალეს 5 კაცა; შათ შორის სსმა ადგილობრივი გლეხი და ორი გლეხი (ძმება) შორანის მარხის სოფ. სერბასიადან.

სხვა და სხვა ამბები.

5 მაისს, ნაშუადღევს 2 საათზე თფილისში ჩამოვიდა კავკასიის ნაქსტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც უკვე თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

23 მაისისთვის გადაწყვეტილია შედგეს ტფილისში გუბერნიის იდგილ-მამულის პატრონთა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნება აგრარული საკითხი.

ტფილისის სასამართლო პალატას გადაეცა განსახილველათ საქმე იმ პოლიტიკურ დემონსტრაციის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 23 იანვარს მოხდა გოლოვინის პროსპექტზე, „როსიას“ სასტუმროსთან. სამართალშია მიცემული რაქის მარხის მცხოვრებები ილია კერესელაძე. მას ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის დებულების მე-121-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით. ხსენებულ მუხლის ძალით სჯიან ისეთ ყრილობაში მონაწილეობის მიღებისთვის, რომელიც განზრახ იყო გამართული უმაღლეს მთავრობის უპატივცემულობისა ანა და არსებულ მართვა-გამგეობის ვაკიცხვის გამო-საცხადებლათ. ბრალდებულს იკავს ნაფიცი ვეკელი მ. ო. გრუზინბერგი. საქმეს 4 ივნისს გაარჩევენ.

სოფ. ახალქალაქიდან იწერებთან: ამ დღეებში აქაურმა „ურადინი“-მა ერთი ინტელიგენტი დაატუსაღა, რადგან აგიტატორათ მიიღო. ერთს დღეს ტუსადი სოფელში ყავდა დამწყვდეული, ხოლო მეორე დღეს სოფლიდან გორში მიყავდათ აღმინისტრაციისათვის გადასაცემათ. გასცდენ თუ არა სოფელს, თორბეტი გლეხი კეტებით შევიარაღებული, თავს დაესხენ და ინტელიგენტი გაანთავისუფლეს. ბევრი გლეხთაგანი გაქცეულია, რადგან ამ საგნის გამო დიდი გამოძიება სწარმოებს.

სასულიერო მთავრობამ ეპარქიალურ ეპისკოპოსისაგან ცნობა მიიღო, მღვდელი სერაფიონ დადუნაიშვილი სახლვარ გარეთ წავიდა და მღვდლობიდან გადაყენებას თხოულობსო. სერაფიონ დადუნაიშვილი ახლა ჟენევის უნივერსიტეტში სწავლობს.

2 მაისს, როდესაც ტრაპიზის მოქმედება განახლდა, მოსამსახურეებს მოკროთთ ვაგონი ყვავილთა ხვეულებით და გამარჯვების ნიშნათ, „ურა“-ს ძახილით გაიარეს ქუჩები. ამავე შორიგების ნიშნათ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელებმა და მოსამსახურეებმა საერთო სურათი გადაიღეს.

როგორ „ტ. ლ.“ სწერენ, ამ დღეებში სოფ. გერმისხევს (დუშეთის მარხის) 10 კაცი შეუპყრიათ. აღმინისტრაციის აზრით, ესენი ახლო-მახლო სოფლების მოძრაობის მოთავენი არიან.

ყვირილიდან იწერებთან ამ დღეებში ყვირილის მახლობლათ მრავალრიცხოვანი ყრილობა ყოფილა. კრებას ექვსი თას კაცზე მეტი დასწრებია..

3 მაისს, ტფილისის საბქოს დარბაზში მოხდა მეეტლთა კრება თავიან რ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლათ. კრებამ დადგინა მოიბოგოს: 1 სრულით გაუქმდეს ნიხრი მიმოსვლაზე; 2 შეეწეროთ ნიხრის ფული პირველ ხარისხის მეეტლეს — 5 მანეთი, მეორე ხარისხისს — 3 მან. 3 გაუქმდეს გადასახალი შესამე და მეხუთე ცენზე; 4 სრულით ევატოთ მეეტლეებს უკანასკნელ 10 წლის ნდომიებები; 5 განთავისუფლდენ მკვდრებისა, დაქრიალებისა, გადამდებ სენით ავადმყოფებისა და ძოვრალ ხალხის გადაყვან გადამოყვანისაგან და 6 თუ ვანიცობაა ყველა ეს მოთხოვნილება არიქნება მიღებული, მეეტლეები ვაიფიცებთან. კრებამ დაადგინა, შესწყვიტოს მუშაობა ხუთ მაისს.

4 მაისს, ტფილისის პოლიცემისტერმა უბრძანა ბოქა. უღებს აიძლონ მეეტლეები უსაოუოდ გამოვიდნენ სამუშაოთ.

ქუთაისში 5 მაისს, ამბავი მოვიდა ლეჩუმში პოლიციამ თავადები ლევიან დაღმქვლიანი და პლატონ ახელედანი დააბატიმრაო, ამ ამბით აღელვებული ხალხი მარხის უფროსთან მისულა და დააბატიმრებულთა განთავისუფლება მოუთხოვია. ჯერ ჯგრობით არ იციან საქმე რით გათადა.

უუა, 3 მაისი. ქალაქის ბაღში, წარმოდგენის ანტრაქტის დროს, მძიმე დასქერს რამდენიმე ტყვიით გუბერნატორი საკლოვსკი. —დამნაშავე მიიძალა.

პეტერბურგი, 30 აპრილი. დღეს დენშინკმა სამჯერ ესროლა რევოლვერი და მოპკლა თავის სახლში ვიცე-ადმირალი ნაზიმოვი. მკვლელი დატუსადებულია.

ციევი, 30 აპრილი პოლიტენიკუმის სტუდენტის სადგომში აღმოაჩინეს ბომბის საყეთებელი.

საიდუმლო სტამბა ბაქოში. შარზან, ოქტომბერში, თფილისის სასამართლო პალატამ გარჩია შემდეგი საქმე. მღვდლის შვილს ვაბრიელ ხუნდაძეს (26 წლ.), ქუთაისის მოქალაქეს ივანე არლოვის (25 წლ.) და გლენს მიხეილ შელჩკოვს ბრალდებდათ საიდუმლო საზოგადოების დახსება სახელწოდებით „ბაქოს კომიტეტი კავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატულ კავშირისა“. კავშირის მიზანი იყო დღევანდელ სახელმწიფო წესწყობილების დამხობა. ბრალდებულთა გამართეს ბაქოში ფარული სტამბა, სადაც ბეჭდვდენ პროკლამაციებს და ავრცელებდენ ბაქოში.

26 აპრილს სენატმა სააქლაციო წესით გარჩია ეს საქმე და გამოარკია შემდეგ გარემოებანი. 1903 წ. 29 დეკემბერს ბაქოს უბნის ზედამხედველი თავ. მიქელაძე ეწვია ადგილობრივ მცხოვრებს კოვლიოეს პასპორტის გამოსართმევათ. კოვლიოვი შინ არ დაუხვედა და იმისმა ნათესავმა ქალმა უთხრა, ჩვენ სახლში ამას წინეთ ოთახი დიტირა ერთმა ახალგაზდა კაცმა, გვართ ცახნაკიქმეო. მიქელაძე შევიდა ამ ახალგაზდა კაცის ოთახში და ვინაობა კითხა, პასუხათ მიიღო, ზუგდიდის მარხის სოფ. აკეთის გლეხი ვარო. მიქელაძემ ეცი მიიტანა ცახნაკიქზე, იცლდა რომ ს. აკეთი გურიოზა და არა ზუგდიდის მარხში. ხელ-მეორეთ მოვიდა კოვლიოვის სახლში და დინაზა სახლის წინ გაჩერებული ეტლი, რომელშიაც ცახნაკიქე და ზუნდაძე საჩქაროთ რალაც ნივთებს სდებდენ. ზუნდაძე პირადათ იცნობდა მიქელაძე, როგორც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ იურიოვის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ცახნაკიქის ნამდვილი გვაირ არლოვი ყოფილა. პოლიციამ გაჩხრიკა ეტლი და არლოვის ოთახი და აღმოაჩინა სტამბის სხვა-და-სხვა ნაწილები და მრავალი პროკლამაცია. სხვათა შორის, ერთ პროკლამაციაში მოწოდება იყო ვრცელი თავისუფლების მოსაპოვებლათ. გაჩხრევის დროს იპოვეს მრავალი ზელნაწერი, უმთავრესათ ზუნდაძის ხელით დაწერილი, მთავრობის საწინაღმდეგო შინა-არხისა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არლოვიდან ხშირათ დადიოდა ერთი ახალგაზდა კაცი გბრაელის ტიპისა, გვართ შელჩკოვი, რომელიც

პასუხის გებაში იქნა მიცემული. თფილისის სამოქალაქო პალატაში საქმის გარჩევის დროს ბრალდებულთ არ იცნეს თავი დამნაშავეთ. ხუნდაძემ განაცხადა სასამართლოში, თუმცა რეკლამაციონერები ვარ, მაგრამ ბაქის კომიტეტთან არაფერი მაქვს საერთო. იმ კომიტეტის ერთმა წევრმა სტამბა გადმოძო და მე მსურდა მესარგებლნა ამ სტამბით, რათა გამეგრელებინა ეს აზრი, რომ საჭიროა მუდმივად ბრძოლა მოაგრძობასთან. ჩემ მიჭყიდებას დანაშაულობათ ვრ ვთვლი და თავმჯდომარის კითხვა, დამნაშავეთ ცნობ თანე თუ არაო, შეურაცხყოფათ მიმართიაო. ხუნდაძის სიტყვით, არაოვს სტამბის საშუალოში მონაწილეობა არ მიუღია. შეურაცხვეთ დაამტკიცა, რომ 1903 წ. დეკემბერში ბაქოში არა ყოფილა. ხანონამართლო პალატამ განამართლა იგი.

ორი დანარჩენი ბრალდებული დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ხუნდაძეს—უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება და არაოვს—ნ თვით დატუსაღება. სენატმა დაამტკიცა თფილისის პალატის განაჩენი (არული)

კორიეს მონდენიკი

ქიზიუი. სიღნაღის მომრიგებელ შუამავლის ჯორჯასის წინადადებით 27 ახრის მოწვეულ იქმნენ ქიზიუის უფლები სოფლებიან ოთხ-ოთხი ამორჩეული ზირი სოფ. ქვემო მახანაში, რომელთაც უნდა გამოეკვიათ ქიზიუელთა ცირ-ვარამი, და ამ კრებაზე უნდა შეეშუშაებინათ თავიანთი მოთხოვნების პროგრამა. კრება მოხდა სოფლის კანტელარიაში, სადაცანჯ დამთხვევის როკრან ზოლიციას უველა მოხელეები ისე მომრიგებელ შუამავალი და სიღნაღის მარშალი ჩოლაყაშვილიც. ბერი სჯა ბასისა შეშვეტ კრებამ დაადგინა:

1) ეველა ის სიკაესიო მამულები, რომელთაც სსახინოთ ირიცნება, ჯეროვე მთელი ქიზიუის სსახინოთო მიწები: სსახინო, სოთიბი, სსახინო, და ამ მამულებში მოტანებული ტუეები, კარდა ეტეს ქიზიუს საკუთრებათ. ამსთანვე უნდა მოისწოს ის კანონი, რომელთაც არ აძლევს ნებს სხდს ისარგებლეს მამულებით ისე როკრან თავისი საკუთრებით. რადგანც მიწა იქნება სხდსის საკუთრებათ ადარებული, ამისთვის უნდა მოისწოს საერთო სსჯა კარდასახებათ.

2) მოისწოს ზირდაზირი და არა ზირდაზირი გარდასახადი სსხმარ ნივთიერებზე, ესე იგი ბაუა, მკა: არეზე, სხინაზე, თამბაქოზე, ჩანა-შაქარზე და სხვა. დაწესდეს გადასახადი შემოსავლის კვალბაზე: ვისაც წდაურათ 500 მ. ხაკლები შემოსავალი აქვს, იმს არაფერი გადასახდეს.

3) სახოკადოების დებურნდეს მდაცხის ფელები თავის სსრგებლით სოფლის სსკირიებაზე მოსხმარათ.

4) გუშქდეს წოდება და წოდებრივი უზინარესობა; დამყარდეს სრული თანასწორობა ეველასი კანონის წინაშე. ერთი სიტუებით, მოისწოს სიტუება: თავადი, ახნური, გლეხი; ეველა უნდა იქმნას ადარებული მოქალაქის სრული უფლებებით. გზების, წყლების და სხვა სამუშაოზე ეველანი უნდა გამოდიოდეს.

5) გუშქდეს მუდმივი ჯარი და შემოღებულ იქმნას მილიცია, ე. ი. საყოველთაო შუარაღება სსკირი დროისათვის.

6) შემოღებულ იქმნას საყოველთაო, სვაღდებულ უფსო სწავლა 16 წლამდის როკრან ვაკების, ისე ქალებისათვის. კარდა ამისა, სსუალო და უმადლესი სასწავლებელი, ხელმისაწვდომი იქოს ეველასათვის. დარბი მოწვეუების სსკირიოთ მიეტეს სასწავლო ნივთები, სასწმელ სსსმელი, ტანისამისი და ბანი.

7) დაწესდეს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა: მსაჯულები არჩეულ იქმნენ სხდსის მიერ. მოხელის ბასუხის გებაში მიტემა შექდეს კერძო-ზირი ნივთ მსჯულების წინაშე რაიმე ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის.

8) ეველასი უნდა გამოდეს სასწმეოთს და სოფლა ეველასის. სამდღელობას მოესწოს სსახინიდან ჯამპირი და კოდი ჰური მრეკლეიტან. ამის-საველათ დენიშნოს მიდგომულზე 1 მ. ჯვარის წერა 2 მ.

9) მოისწოს სტრანეიკები,
10) დამყარდეს თავისუფლება სიტუების, წერის, კრების, გაფიცვის, მიწერ-მოწერის. ამისათვის ზირთენება და ბინა ხელმეუხეუელი იფოს.

11) მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება. წარმომადგენელი ამ კრებაში უნდა იქმნას სხდსის მიერ არჩეული; ფარული საყოველთაო, თანასწორი და ზირდაზირი კენჭის ერთი.

კრების დასასრულ, მოწვეულ იქმნენ მომრიგებელი შუა მავალი და მარშალი, რომელთაც წუგაითეს კრების დადგენილება.

რუსეთის ქრონიკა

სრულიად რუსეთის შურნალისტთა კრებას გამოეთიშა მარქსისტების ჯგუფი, რომელიც ვერ შეეთანხმა დანარჩენ ელემენტების მურყუახულ-ადრეულარულ აზრებს. კრებამ უსავედურა ასეთი საქციელი ზემოხსენებულ ჯგუფს, რადგან უკანასკნელი თავის გამოცდებულებით მათი აზრით ასურტება ინტელექტუალთა ძალას. ამის შესახებ ეკაზ. აკომმუნერ. როს. შ. შეშვეტს წერს:

უახლოვსი მიზანი მარქსისტებისა და უიადურეს შემარცხნე ლებურალებისა უშეტეს ნაწილათ ერთი და იგივეა. თუ რომ ლიბერალები ნათლათ, გარკვევით ადნაშნავენ თავიანთ დროშასზე მოქალაქეთა საყოველთაო თანასწორობას და საყოველთაო, ზირდაზირ, სადღეულდა და თანასწორ არჩევნების უფლებას, მარქსისტები რასაკვირველად მხარს მისცემენ მათ და დროებით შეთანხმდებიან კიდევ მათთან, რათა უფრო ახველათ მადწიონ სახოკადო მიზანს.

მარქსისტების ზარტია შუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენლებად. იმისი თვალთა ხედვის ისარი კლასობრივი თავისებურებაა; უზირვედეს უფლებასა ზარტია სსჯა და სსჯა კლასთა ინტერესების განსხვავებას აქნეს ურდადლებას; ის არაკვეს პროლეტარიატის ზარტიანთვის დამოუკიდებელ ორგანიზაციის სუბიექტობას და ამ ზარტიან თავისებურ ტაქტიკას. დღეუანდელ შეგობრებაში მან უნდა დაანახოს პროლეტარიატის მომავალი მტერი და მოწინააღმდეგე: მას კარგათ ახსოვს, რომ პროლეტარიატს არა ერთხელ გაუწირავს თავი, დაურთხვება სისსლად და მერე რა გამოსულა აქედან: **სახელი** პროლეტარიატისა და **სახრავი** კი **სხვისი**. ამისათვის მუშათა კლასმა აქედანვე უნდა უზრუნველ ეოს მომავლისათვის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას გაუფადებებს საწარმოთა იარაღთა მწარმოებლების ხელში გადასვლას.

ამ ნიარ ზირობებში მარქსისტ შურნალისტებს, რასაკვირველია, არ შეუძლიათ შურნალისტთა საერთო კრებაზე სსჯების ხელი გაუწოდონ და მამე დროს თავის კლასობრივი ზოზიციის შეინარჩუნონ სახოკადოებრივი და ზოლიტიკური კითხვების განსჯის დროს. ეს იქნებოდეს მათი მხრით თავის ზირინებუების უარყოფა. ასეთ „დათმობას“ მათ ვერავითარი შეგნებული შურნალისტი ვერ ურჩევს.

ის კი არა, სანამ ჩვენი პროტესტიული ზრესა ორზირი არჩევნების სისიტემას და სხდსის წარმომადგენელთათვის. ორ ზაღდატს ქაღკოსის, დროებითი შეთანხმებაზე ლაზარავიც მეტია მარქსისტების მხრით.

გაზეთი დასძენს: ჩვენ საიმოვნებით ვევებებით ამისაგების შეურვეკლობას შურნალისტთა უკანასკნელ კრებაზეო.

ჩვენი გაზეთის წინა ნამერში სსჯათა მორანს ქ. ლობში მამხდარი სისხლის დერაც ეკაქანდა მოსხენებელი. უწისოება ლობში 17 ახრის დაწვეულება. ამ დღესვე, ერთ ადგილას, რეველიოტიონერთა გროვა, რომელსაც წითელი დროშა აფორიალებსა ვაკერში, ტარს შემოკრეტვა ეკან-რუსების ზარტულს და ქაგები და რეველვერები დაუშინა. კახაკებმა თოფი გაისროდეს და დაჭრეს 4 კაცი.

ამავე დღეს შიძიეთ დაუტრიათ ზრანტავი კურანკო; 18 ანრალს უგელა ფანბრეკები და მდახაიები დახურული იყო. ქუჩებზე ათასობით ირეოდა ხალხი. აქ იქ წითელი დროშები მიჩნდა. ბეგრ ადგილას შეტაკება მოჰხდა ხალხს ზოლიციასთან, ვსოლანია ქუჩაზე ხალხის მხრით მოკვდა სამი კაცი, დაატარა შეტა. 4 1/2 საათზე ერთ ერთ ქუჩაზე შეგროვდა მრავალი კაცი სიმღერით და კეთილი. გამოიყვანეს ჭარი და სოლას უბრძანეს. მოკლეს ერთი ქალი, მუშის ცოლი ბარტონისსკაია და დატრეს მუშა ქალი გერონიკა ბასტრეცკაია. 9 საათზე. ხალხის და ჰატრელის შეტაკების დროს დაატარა ერთი ქალი. 19 მაისს სასრვედალთ დაქალაქს ქვათ ზოლიციას ზედამხედველი კამინსკი, შიძიეთ დატრეს ოკალოტრინიევიკონიატოკსკი. საზოგადოთ, ამ ორი დღის განმავლობაში ღამში მოკლეს 7 კაცი და დატრეს 20-მდე.

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების შეთანხმებით 15 ანრალს გაუქმებულ იქნა 1897 წ. 12 აგვისტოს გამოცემული ცირკულარი გუბერნატორებისადმი, რომლითაც უცდელვლათ აღერძალული იყო მუშების უოველგვარი კრებები და გაფიცვები, ხოლო გაფიცვულები იკზანებოდენ ან სამშობლოში, ან ამ ადგილებში სადაც მიწროი იყვნენ; გაუქმა აგრეთვე იმავე წლას 8 ანრალს გამოცემული ცირკულარი, რომლითაც ინსპექტორებს წინადადება ეძლეოდა, გაეღენა ექნათათ გაფიცვულ მუშებზე, რათა მუშაობა დაეწოთ (ბ. ვ.).

13 ანრალს ღამში ეახას რუსებმა, რომელნიც ძაფეელობის აქც. საზოგადოების ფანბრეკს იტყუდენ, კონტორის კარები შეამტკრიეს, შევიდენ კატეხეს და გაატრევს 5 კასსა, რომლის ფული, სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმიებისთვის იყო დანიშნული (ბ. ვ.).

ღამა ვორანეში მდგელი მ. ა.—გი ეკლესიაში ავირინდან ამტკიცებდა, რომ „ბუნტის“ რუსეთში ახანაის მიერ მოსეადული ხალხი იჭვესო. ის ემუდარებოდა მრეგლს, ნუ წაიკითხვოთ ნურც—ერთ გაზეთს, რადგან მათ მთავრობის და ეკლესიის შტრები წერენო. (ს. ზ. კ.).

არეულობა, რომელიც 21 ანრალს დაწეო სიმფეროპოლში ჩაქრობილ იქმნა ჭარის მოქმედების საშუალებით (ბ. ა.).

18 ანრალს ღამის ფანბრეკში მუშაობა დაწეო, მარა 11 საათზე უგელან შესწედა, მდახაიები დახურეს, ტრამვაი შეაჩერეს. (რ. ს.).

ბეტერბურგში აღმინისტრაციული წესით დატუეეებულთა რიცხვი ამ უკანასკნელ კვირაში შეტა, ვიდრე მთელ მარტში იყო. დატრელთა უმრავლესობას მუშები და მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენს.

ამ ბოლო დროს ზოდლოის და ვორანეის გუბერნიებშიაც იჩინა თავი გლეხების მოძრაობა. გაეკზანა ჭარი ხალხის დასამშვიდებლათ. (ბ.).

26 ანრალს ბეტერბურგში, ქალაქ კარეთ მუშებმა მიტინგი მოახდინეს. მიტინგს აუარება ხალხი დაესწრო. მრავალი სიტყვა წამოთქვა. გადაწვეოტეს დაუფინებელი მოათხოვონ დამოფინებელი კრების მოწვევა; საყოველთაო, ზანდაზარი, ფარული და თანასწორი არჩევნების უფლება, ამის ესლავე შეწვეოტა და რვა საათის სამუშაო დღე.

(ბ. ვ.)

18, 19 და 20 ანრალს კალიში დიდი დემონსტრაციები მოხდა. 18 ანრალს, ღამე. ქალაქის ბაღში დემონსტრანტები შეიკურენ. კრების შემდეგ დემონსტრანტები ეგირალით, სარეოლოაუცოთ სიმღერებითა და რეოლევერების სრლით ქალაქის მთავარ ქუჩებისკენ გაემართენ. რადგან ზოლიციამ წინაწინვე იცოდა, რომ ბაღში კრება იყო, ამატომ ჭარი დაბარა, დემონსტრანტებს გზები მოუჭრა და შუაში მოაწეედა. საბუნელიში სოლას ასტედა, დემონსტრანტებმა მოახერხეს და ზოლიციას თავი დააღწიეს. 19 ანრალს ხმა გაგზდა, ზოლიციამ კათოლიკეთა ეკლესიას თოფები დაუშინა, წაბილწაო და სხვა. ამ ამბავმა მთელი ქალაქი ადელევა. იმავე დროს გუბერნატორმა ქალაქში განცხდება გააზრ: მართალია, ეკლესია დახანდა, მაგრამ ვინ დაახანა, ზოლიციამ თუ დემონსტრანტებმა, ამას გამოკვლევა ჭერ-ჭერობით შეუძლებელიაო. სადამოზე ეკლესიასთან ურიცხვა ხალხი შეაკრია. წირვის შემდეგ ხალხი ორ ჭეუფათ გაიყო: ერთი ჭეუფა წმ. იოსების ძეგლთან მივიდა, შერეო—სარეოლოაუცოთ სიმღერების ქალაქისკენ გაემართა. მლოცვეებს, გუბერნატორის ბრძანებით, ხელი არ ახლეს, დემონსტრანტები კი, მცირე შეტაკების შემდეგ, გაფანტეს.

(ბ. ო.)

ეიტომიში მომხდარ ხოცვა-ჟლეტას შესახებ ბეტერბურგში ცნობები მიუღათ: 1) ჭერ-ჭერობით გამოირკვა, რომ 40 კაცი მოიკლა და 100 დაატარა. რამდენა მათ შორის ებრელი, არ იცანს; 2) ქალაქის დაცვა დიეიზიის გენერალმა იკისრა. არეულობა ქალაქის განაზარა ადგილებში ჭერ არ შეჩერებულა. ემიანათ, რამდენსამე დღის შემდეგ ხულიკაზები ხელმოკრეთ დაეცემიან ებრელებსა; 3) 26 ანრალს, დლით, ეიტომიში ომიანობის დროას წესები შემოადეს. 27 ანრალს დახოცილთა სულის მოსახსენებლათ ზანაშვილები გაღახდეს. ქალაქში სამარისებურა საჩუყე ჩამოვარდა.

ვარშავის გუბერნიასში, დამა ვოსტიაში, ებრელები აუცლათ. ბეგრი სახლი აკლეს და დაწერეს. დატრელება და დახოცილებიც არან. ერთი ქალი მხეცურათ აწამეს.

(ბ. ო.)

მელიტოპოლში მომხდარ აკლების დროს მოკვლულ იქნა 75 კაცი. დატრელთა რიცხვი არ იცანს. დახოცილთა შორის სალდათებიც არანს. სახლების სახურავებიდან და აფნებიდან ჭარს ეუმიარეს ესროდენ. სალდათები თოფებს ხმარობდენ. ჭარს ხულიკაზები უტყრდენ მხარს და ომ სახლებს, სადალანც რეოლევერებს ისროდენ, საძირკვლიანათ აქცეედენ. სახლებს ღამშიათ ახრეედენ და მცხოვრებთა წივილ-კივილი ცნას სწვდებოდა. ბეგრი უღახაშულო ქალი, კაცი და ბავშვი გამოესლამა წუთა-სოფელს.

(ბ. ვ.)

ვარშაველებმა გადაწვეოტეს უოველი დონე ვაღინოთ და ხალხს ზოლიციასკან თავის დაცვის საშუალება მიცვეთო.

25 ანრალს ქ. ღამში, ერთი მღებავის იატაკ ქვეშ ზოლიციამ უემარბი და აარდაო აღმოჩინა.

უცხოეთის ქრონიკა

გერმანია. როგორ უეფრებს მილიტრანში ზოლოტარიატა? ცხ. ეომიჩი. როს. ნათლათ არევეეს ამ კათხვას.

გერმანიის რეისტრაში სოციალ-დემოკრატების ზარტია უოველ წლოობით ზოტესტს აცხადებს სახედრო საქმიებისთვის ფულას გადაღების წინაღმდეგ. გერმანიის ზოლოტარიატის სახელით აცხადებს ის, რომ ვერ შეეროგებთა ჭარზე და ფლოტზე ხარჯის ასეთ ზრდას.

თავის minimum ზოტრამაში, ზარტია ითხოვნ მუღმივი ჭარის მოსზობას და სახალხო მილიციას დაარსებას. გერმანულ

უნერებს არ მისწონთ სოციალ-დემოკრატების საქმიანი და მამულის სიყვარულის უქონლობას უკაინებებს მათ.

თუმცა ზრდაეკრატია თავისებურათ უტყენის მილიტარნიზმს, მას ეს იმას არ ნიშნავს, თითქო მას მამული არ უყვარდეს.

გერმანიის ს. დემოკრატთა ბუღალი ბუღალი, რომელიც წინეთ უბრადო მუშა იყო, ამბობს: იმ შემთხვევაში, თუ რომ სამშობლოს ნამდვილი განსაცდელი მოეღოს, ბირველი მე ჩავდებო მამულის დამცველთა რაზმშით. მას ბურჟუაზიის მტაცებელ ინტერესების დაცვა მამულის დაცვით რადი მიაჩნია ზრდაეკრატის.

ნამდვილი ზატორტიზმი, მუშების აზრით, უფლებებით აღჭურვალ ექსპლუატრტთა მცირე კუნდის დაცვა რადია, არამედ იმ ხალხის დაცვა, რომელმაც ამების მთელი განაწირო თათონ უნდა გადაიტანოს, მრავალი მილიონი ჯარი უნდა შეინახოს თავის შრომით შვიდობიან დროს რომ სხახსოთ. მალაცია ბუერათ უმჯობესი იქმნება ახლანდელ ჯარზე, — ამას დასამტკიცებელ საბუთათ თუნდ ბურების და ინგლისელების რამა სჯამაო.

ინგლისელების მუდამავა ჯარმა მთელი რი წლის განმავლობაში ვერ შეარეეს ერთი ნამცეცი ხალხის განიერა წინააღმდეგობა. თავისუფლების ბრძოლის სურვილით აღდრთოვანებული ბურები, წამ და უჭუმ ამარსებენ ინგლისელებს, სანამ უკანასკნელთა უთვადავამ ჯარმა წელში არ გასტევა ერთი მუჭა ხალხი.

ზინაური მიმოხილვა

ამას წინეთ ერთი დაუჯერებელი ამბავი გავრცელდა ჩვენში. იმ დროს, როცა ყველანი გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ იმ დიად მოძრაობას, რომელიც ერთნაირათ მოსდებოდა იმერ-ამერის გლეხკაცობას, ხმა გავრცელდა, რომ გორის მაზრაში შედგა თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავის დაცვის ღვიზით დღევანდელ მოძრაობის წინააღმდეგ ილაშქრებსო. ეს ხმა პირველათ ყრუთ გაისმოდა. შემდეგ გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, რომ ასეთი ჯგუფი მართლა არსებობსო. წარმოიდგინეთ ჩემი გულუბრიყველობა, რომ მე ეს მაინც არ მჯეროდა. მაგრამ რომ კაცმა იკითხოს, რა იყო აქ დაუჯერებელი, ან გასაკვირველი? გლეხების დღევანდელი მოძრაობა ერთი მხრით მიმართულია მემამულეების წინააღმდეგ. თუ რისთვის არის ეს ასე, ამის განმარტებას მკითხველი ჩვენ აქ არ მოგებოვს, რადგანაც ეს დღეს საქართველოში გამორკვეულია. აშკარაა, თავად-აზნაურობა, როგორც მიწათ-მფლობელთა კლასი თანაგრძნობით ვერ მიეგებებოდა ამ მოძრაობას. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თავად აზნაურობა წინააღმდეგობას გაუწევდა მას, შეეცდებოდა თავის ნივთიერი ინტერესების დასაცველათ მისთვის მანვე მიმართულების აღმოფხვრას. როგორც ხედავთ, აქ არაფერი გასაკვირველი და დაუჯერებელი არ არის, მაგრამ ჩვენ ურწმუნოებას ფარდა ახადა ბ-მა ლ. არაგინმა (გახ. «*Нов. Обоз.*»-ში), როგორც მისი წერილიდან ჩანს ქართველ აგრაობების დასს „მოუკრებია ადგილობრივათ უსაქმით მოხეტიალე ხუნხუზები და გამოუწყვია ვგრეთ წოდებულ თავად-აზნაურთა დრუენა, 700 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურს დამთავრებული პირია“. და ეს ვაებატონი თურმე მათრახით ხელში, მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა ცემს ადგილობრივ უწყინარ და მშვიდობიან მცხოვრებლებსო. გლეხების დამშვიდების სახელით ეს დაუბატოებელი ბაში-ბუზუკები ზოგიერთ მემამულეებთან ერთათ, ისეთ საშინელებას ახდენენ, რომ გულ-ქვა ალა-მამაძახანის შემოსევის ფერი უკრთება მასთან შედარებით“. აქ მოთხრობილი ამბები რომ სი-

მართლეს მოკლებული არ არის და არც გაზვიადებულია, ამას ამტკიცებს იმავე გაზეთში («*Нов. Обоз.*» № 98) თვით თავად-აზნაურობის „დრუენის“, — ერთი წვერი ბ-ნი გ. ვ. მაჩაბელი, რომლისთვისაც სიტყვა მაწანწალა და ბაში-ბუზუკი დიდათ სანაქებო რამ ყოფილა. დასახლებული ვაებატონი მხოლოდ უფრო დაწვრილებით გაგვიმარტავს ამ ახარებული „დრუენის“ ორგანიზაციას, რომელსაც სახელით ამიერიდან ერქმევა „გორის მაზრის თავად-აზნაურთა უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომლის წვერათ ყოფნა შეუძლია ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს იმათ მიერ შემუშავებულ პროგრამას. ბ-ნი გ. მაჩაბელი აცხადებს, რომ ჩვენში გაჩნდნისეთი პირები, რომლებიც თავად-აზნაურობასა და გლეხკაცობას შორის შულსა და განხეთქილებას თესავს, რომლებსაც ჩვენ ხალხთან არაფერი საერთო არა აქვთო გარდა იმის, რომ ხალხს უქადაგებენ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ძალ-მომრეობის ხმარებას და იმათ მამულ-დედულის და სახლ-კარის გადაბუგვისო, ვითომ ჩვენ, თავად-აზნაურობა, ვიცყნეთ იმათი გაქივრებული მდგომარეობის მიზეზიო. იმის მაგივრათ, რომ ხალხის პროპაგანდისტები შესულიყვენ ქართველი თავდააზნაურობის გაქივრებულ მდგომარეობაში, იმის მაგივრათ, რომ იმათ გლეხკაცობასა და თავად-აზნაურობაში ძმობა-ერთობაზე ექადაგებია, ისინი გამოსულან და ხალხს აგონებენ: გააძვევთ თქვენგან თავად-აზნაურობა, რომელიც მთელი მცხოვრებლების ერთ მეთედს შეადგენს, და იმავე დროს ისეთ ნაწილს, რომელიც, როგორც უნდა თქვათ, დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო კულტურული და ძლიერა ელემენტიაო. ამ მიზნით გორელ თავად-აზნაურობას შეუდგენია „უნივერსიტეტის დამმარტებელი საზოგადოება“, რომლის წვერები შეიარაღებულან, სოფელ-სოფელ დაძრწიან და ხალხის დამშვიდების სახელით ცეცხლითა და მახვილით უპირებენ გასწორების მათ, ვინც დაზარალულ ხალხს გონებას უღვიძებს. ბ-ნი გ. მაჩაბელმა კარგათ აცის, რომ ეს პირები დაწვას და განადგურებას არ უქადაგებენ ხალხს; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი უარყოფდნენ იმ განხეთქილებას, რომელიც თავად-აზნაურობასა და გლეხკაცობას შორის არსებობს. თქვენ დღეს სწორეთ ის გაწუხებს, თუ რათ დაირღვა წინანდელი დამოკიდებულება, როცა გლეხკაცობა თქვენი ყურ-მოჭრილი მონა იყო და რაც გსურდათ, იმას აეთებინებდით. აი რამ ავაშფოთათ, აი რამ ავაშხვრათ თქვენ. ამა ერთი დაგვისახელეთ, როდის იყო, რომ თქვენ ძმობას და სოლიდარობას უცხადებდით გლეხკაცობას! ასეთ — პირბადის ახვევა თქვენ, როგორც რინდული წოდების წარმომადგენელს, არ შეგშენით. ამიტომ უმჯობესია პირდაპირ აღიაროთ, თუ რა გსურთ თქვენ, რისთვის შევიდგენით ეს ახალი „დრუენა“ 700 კაცისაგან? ძმობა-ერთობის მქადაგებელი და ის, ვინც გლეხებს „ძმებს“ უწოდებს ასეთ იარაღს არ მიმართავდა. ამის შემდეგ რაღა საფუძველი აქვს თქვენ საყვედურს ბ-ნი ლ. არაგინის მიმართ, რომ მას თავის ვინაობა დაუფარავს. ის თავის ვინაობას ფარავს, სამაგიეროთ ქეშმარიტებას და სიმართლეს ამჟღავნებს. თქვენ კი, თუმცა თავის ვინაობას არ მალავთ, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას ფარავთ. მკითხველმა გასაჯოს, თქვენი თუ ბ-ნი არაგინის საქციელია გასაკიცხი და დასაგმობი! მაგრამ რას ვამბობ. ბ-ნი გ. ვ. მაჩაბელს ამაშიაც ჩინებული და საუცხოვო მოსარჩლე და მიმამცველი ყავს; ეს ვახლავთ თ-დი ილია ქაქუაძემ, რომელმაც, სხვათაშორის, ვინაობის დაფარვისათვის უსაყვედურა ერთ ჩვენ კორსპონდენტს, რომელმაც მისი საქმენი საგმირონი გამოააშკარავა.

გორელი თავად-აზნაურობის „დრუენის“ სახით ჩვენ-

შიაც შემოვიდა ეგრეთ წოდებული „შავი რაზმი“, რომელიც ამ ჟამათ რუსეთის ქალაქებსა და დაბა—სოფლებში დათაროვობს და ხალხს უსისინებს ადგილობრივ მოღვაწეებზე და ხალხის სასარგებლოთ მომქმედ პირებზე. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ გორელ „შავ რაზმს“ გაცილებით უფრო მკვიდრი და მაგარი ორგანიზაცია შეუქმნია, და მის მოქმედებას მეტათ სერიოზული შედეგი უნდა მოყვეს. რადგანაც რუსეთთან შედარებაზე ჩამოვარდა საქმე, არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ის სისტემატიური ქადაგება, რომელსაც უწევდა რუსეთის სამღვდლოებში ერთი ნაწილი დღევანდელი მოძრაობის დასამტკიცებლათ უფრო ხალხის თვალში. დღეს; როგორც აშკარათ მოწმობს ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს, ჩვენი სამღვდლოებაც დამდგარა ამ მეტათ საშარტებინა გზაზე. ეს დოკუმენტი დაბეჭდილია პატარა ფორმატის ქაღალდზე და შეიცავს ორ-ბევრად, მას არა აქვს მოწერილი რიცხვი და არც ის არის აღნიშნული, თუ ვისგან არის დასტავებული. საქირაა რაზმენიმეთ გაციონოთ იოს შინაარსი, რომ მივხედოთ, თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე. პროკლამაციის ავტორია, რომელიც უშუალოდ სულიერი მამა უნდა იყოს, დასაწყისში გვეუბნება იმაზე თუ როგორ ვრცელდება საზოგადოთ ვადამდები სწელებანი და შემდეგ განაგრძობს: **„ბიროტნი კანნი, რომელთაც ლეთისადმი სარწმუნოება დაკარგეს, არა სწამთ მისი წმინდა კანონი; გარყვნილი, ზარმაცი, მათუთარნი, მოწინდინებულნი არიან, რომ ყველა იმათ გაედეთ; ისინი მაგალითათ, სიტყვიათ და ფურცლებითაც (პროკლამაციებით) ყველას ეძახიან, რომ წინააღმდეგ ეკლესიას, მეფეს, მთავრობას, არიგებენ მუშებს, თავი დაანებებ მუშაობასა... ესენი ხოცავენ და სცემენ იმათ, ვინც იმათ სწავლას არ მისდევს“...**

...ეხლანდელი მატონებელნი, რომელნიც ხალხს ბოროტებას ასწავლიან, განა არა გვანან ეშმაკსა?... გონს მოვიდენ უპატრიონო მატონებელნი ხალხისა, სანამ დროა! დაინებონ თავი თავის ეშმაკურს მუშაობასა!“

მაგრამ „პროკლამაციის“ ავტორმა აღბათ კარგათ იცის, რომ ასეთი მუქარით ვერას ვახდლება, და ამიტომ ხალხს მიმართავს შექმდვი საგულისხმიერო და მეტათ დამახასიათებელი სიტყვებით:

„როდესაც ნახო მატონებელი, გაკახე, ჩააგონე მის ცალკე; თუ არა გისმინოს, წაიყვანე თან კადვე ერთი ან ორი; თუ იმათაც არ გაუგონოს უთხარა კრებულსა, ხოლო შემდეგ მატონებელი იყოს შენთვის, როგორც წარმართი და უცხო: **მიეცი ის სამართალიში, მიეცი მთავრობას, რომ არ დაღუპოს უდანაშაულო ხალხი“...**

მაგრამ ემარა, შეეჩრდეთ აქ: სულიერი მამა, რომელიც ენითა თვისითა ქრისტეს მოძღვრებას აღიარებს, ხალხს ჯამუშობას ასწავლის ქრისტეს სახელით იგი იუდის მაგალითზე გვითითებს.

აი სადმდის, აი რა უფსკრულამდის მიუყვანია ჩვენი სამღვდლოება მიწიერი ინტერესებისადმი სამსახურს. ამაზე მეტი დაცემა, ზნეობრივი გათახსირება ყოვლად შეუძლებელია! ჯამუშობის ქადაგება, იუდის თავგანისცემა, ეს ქრისტეს ზურგის შექცევა არა რისი?

სხვათაშორის დღეს პროკლამაციების, დეკლარაციების, პეტრიციების, ადრესების და სხვა ამგვარების წერის დროა. ქუთაისს ხომ ამ მხრით ყოველთვის პარველი ალაგი ეჭირა და ამ მან დღესაც ისახელა თავი; უფრო მართალი რომ ვუჭვათ, ისახელეს თავი იმ ას ოთხმა პირმა, რომლებსაც

თავის დეკლარაცია გავს. (ენობის ფურცა გაუგზავნიათ გამოსაქვეყნებლათ. ეს ას ოთხი პირი, რომლებშიაც ურევიან, ესენია: შორის: ს. ხუნდაძე, დ. ქუბაპრია; ვ. ვაბიძაძე, კორტე ჩაჩავა, ილიკო კაკაბაძე, ვასილ მებანგიშვილი, დ. ნახარაძე, კ. ბაქრაძე, თომა მთავრიშვილი, ვ. ქორქაშვილი, დავ. არ. ლორთქიფანიძე (ენობლი მოტრფილავ პოლიციის გაძლიერებისა) ისინი ნიკოლიაშვილი, ს. რომაქიძე და tutti quanti.—ვიმეორებ, ეს ას ოთხი პირი ამიერიდან სამარადისოთ სახსენებელი შეიქნებიან ქართველი ხალხის ისტორიაში. თავის განცხადების დიად მნიშვნელობაში ეს პატივცემული გვაქვს იმდენათ დარწმუნებული არიან, რომ ისინი არ ჯერდებიან ამ თავისი კალკუტიური შრომის მარტო ერთ გზითში გამოცხადებით, არა: ისინი თხოულავენ, რომ იმათი ნაწარმოები ყველა ქართულ დრო გამოშვებით გამოცემებში იყოს გადაბეჭდილი. პატივი და დიდება იმათ ნაზრს და ნაშრომს! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, კინ ბრძანდებიან ეს ას ოთხი პირი, რომლებიც ასეთი რჩებით მიმართავენ ქართველ საზოგადოებას და ასეთ დარჩებას აძლევენ ქართულ პრესას? რას ამბობენ, რისთვის აუღიათ იმათ ხელში კლამა?

— ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ამბობენ ხსენებული პირები, — დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელი გენტებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ პირებთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას თესენ. თუ რომ ერთობა და კეთილგანწყობილება საქირა რომლისაშე ხალხისთვის, განსაკუთრებით საქირა იგა ჩვენს მდგომარებაში მყოფთათვის. **აზნაური და გლეხი, ძმურათ ხელჩაკიდებულნი, დღეს ერთი დიადის მიზნისაკენ უნდა მისწრაფოდეს, და იმერეთის, თავად-აზნაურობამ, ისე, როგორც ამერეთისამ სიგანგებო კრებაზე დადგენილ გადაწყვეტილებით, თავის ადრესებში გამოთქმული აზრით, ცხადათ დამტკიცეს, რომ ისინი გლეხებთან ერთათ ქვეყნის საერთო მიზნითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი(!)?.**

კარგათ დავუკვირდეთ, რას აცხადებს საქართველოს თავად-აზნაურობა თავის ადრესებში. ის ეუბნება უშაღლეს მთავრობას: თავად-აზნაურობის მოთხოვნაში არ იხატება ის აზრი, რომ ის უარ-ყოფს თავის ყოველგვარ უპირატესობას და გულისით წაღია მოკოლო ქვეყანას თანასწორობა და სამართლიანობა? გლეხობამაც ხომ ესევე წადილი გამოაცხადა როგორც დასავლეთში. — ისე აღმოსავლეთშიც, და, მაშასადამე, რა არის მათ შორის სამტრო და სასისხლოა!

დღეს დღეობით ერთათ ერთი სადავო საგანი შემამულეთა და მიწის მუშათა შორის მიწის ღალა მაგრამ ჩვენ უგჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილათ გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საქირა არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დავა.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის წერილის დედა აზრი სრულიად არ ქწინადმდეგება ჩვენის პრესის მიმართულებას, და ამიტომ მივმართავთ ჩვენი გავთებების რედაქციებს თხოვნით — **გავაცტელოს ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოების საშუალებით და მას თავისი აზრიც, თავისი გავდენიანი სიტყვაც დასძინონ ამ საგნის შესახებ; მოიწვიონ გლეხნი და აზნაურნი, რათა ძმურათ შეკავშირდნენ ჩვენის ქვეყნის საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტათ.**

აგრეთვე ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის პირნი, რომელთაც გლეხებთან მოლაპარაკება ჰქონიათ და მათი ნდობა მოუპოვებიათ, შეაგონებენ მათ, წერილობითაც და სიტყვიერათაც, რომ მოძმეებს შორის ძალმოპირობის ხმარება, სისხლის ღვრა, გადაწყვა და ერთმანეთის ქლდეტა ჩვენს უამისოთაც დაბეჩავებულს ქვეყანას მხოლოდ ენებას

მოუტანს და არა სარგებლობას. ჩვენ გვეუბრა, რომ ერის ერთგული მამულია შვილები, შეგნებულ პარტიები არ იქმნებიან მომხრე ქმების გადამტრებასა და ერთმანეთის წვა-ჟღლეგით ხალხის ძალ-ღონის შესუსტებისა.

აი რას გვეუბნებიან, აი რის გვექადაგებენ ასეთი პირი! სწორე მოგახსენათ, იმის შემდეგ, რაც „ცნობის ფურცლები“ და „ივერიის“ იმათ ამის საპასუხო წერილები დაუწერეს, ჩვენ თითქმის ზედ მეტათ მიგვაჩინა კიდევ ამისთვის დროს დეკარვა. „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ კრიტიკა იმათთვის უსასტიკესი დასჯა უნდა იყოს! სად უნდა მოეპოვათ ამიერიდან ცნობილი 104 პირს თანაგრძნობა, თუ არ ხსენებულ რედაქციების მხრივ? მაგრამ ეტყობათ, რომ იმათ კიდევაც გადაუქარბებიათ, თავიანთ მასწავლებლებისათვისაც კი. მაგრამ ჩვენი აზრით, „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ ხარხარი და დაცინვა ქუთათურ ავტორებსზე უადგილოთ უნდა ჩაითვალოს. განა „ივერიელები“ და „ცნობის ფურცლები“ არ იყვენ-ეროვნულ ავტონომიასზე და საერთო პარმონიაზე რომ დალაღებდნ და ხმა მალა გაძახიან? და ახლა, როცა მათ დაწახვეს მათი შეხედულების ლოლიკური დასკვნა, დღეს დაცინვით იხსენიებენ იმათ, ვინც იმათი მკვიდრა შვილია, ვინც იმათი ქადაგების ნამდვილათ მიმდევარია. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რისთვის იგდებენ ასე სამასხაროთ ისინი ქუთათურ ავტორებს. ისინი შეგნივრათ ფაჩვან თავის სურვილებს და მისწრაფებას; ისინი დაჩვეული არიან პირდაპირ არ უწოდან საგანს ნამდვილი სახელი, ამიტომ მათი ენა გაუგებარია ისეთ ბურჟუაზი-ბერალებისათვის, როგორც არიან ხსენებული 104 პირი. ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ. იმათ ავტონომია თავის ინტერესების დასაცავათ უნდათ და ამას არ ფარავენ. ჩვენ ერთობ დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ ხსენებულ პირებს, რომ იმათ ნამდვილ ლოლიკურათ გაიმეორეს ის, რასაც ქადაგებენ ჩვენი ნაციონალისტები. ხოლო რაც შეეხება იმათი აზრის უბადრუკობას, იმათი მსჯელობის უსუსტრობას, ამაზე, ვიმეორებთ, მეტათ მიგვაჩინა ლაპარაკი.

თე ლექტორის მაგიერად.
მოკვედნი პირნი:

ივერია.—ნწ წლის ყმაწვილი. მუცულზე დიბი ემჩნევა. აურქარებელი მიხრა-მოხრა აქვს. კალარას იღებავს და კობტობას.
ცნობ. ფურც.—ასაკში შესული ქაბუკი. ევროპიულ ტანისამოსს ატარებს, მეტათ ცელქი და დაუდგრომელი რამ არის. ადვილათ გადადის მწუხარებიდან მხარულულებაზე, და მხიარულებიდან მწუხარებაზე.
3 კაცი: I, II, III. „მშრომელი ხალხი“ ინტელექტულები და თავდა-აზნაურობა.
—
მოქმედება სწარმოებს ქუთათისში და ოფილისში.
ცნობ. ფურც. (ბოლთას ცემს) ეროვნება... ეროვნება... ეროვნება!... (შეჟოდის ივერია).
ივერია. (ჯერ ჯერობათ ვერ ამჩნევს ცნობ, ფ.) მუშა ხალხი და ეროვნება... ეროვნება და მუშა ხალხი.
ცნობ. შუაქ.—გამარჯობა! (ოც შეკრთება).
ივერია. პო, შენა ხარ? გავიზარჯოს. არაფინ მოსულა? ხალხი, მშრომელი ხალხი სად არის აქამდნი?
ცნობ. ფურც. რაი? პო! მშრომელი ხალხი როგორ არა! აქ იყო, ახლა ვიგონდა. ეს საათში შემოვა.

ივერია. ჩვენები? ჩვენი ინტელლიგენტები ხალხა არიან ამ დრომდე?

ცნობ. ფურც. ინტელლიგენტებიც ეხლავე მოვლენ. (გაიარ-გამოიარს, შეჩერდება ერთ ადგილას, თვალებს ზევით იგულაპყრობს, შუბლზე თითს მიიდებს და ფიქრში); ეროვნება და სიყვარული თუ სიყვარული და ეროვნება. (კვლავ ჩაფიქრდება. შემდეგ); ეროვნება და სიძულვილი.

ივერია. (სატყუას გააწყვეტანებს) ეროვნება და მუშა ხალხი. მუშა ხალხი და ეროვნება.

ცნობ. ფ. დღევანდელი დღე დიდებული და შესანიშნავი დღე არის.

ივერია. (განავრძობს). საქართველოში აღმოჩნდა.

ცნობ. ფ. სსს... ჩუმათ! ვილაცა მოდის... „დასვლები“ არ იყვენ...

ივერია. ვიჯამნი ეშაქისავან. (გააფურთხებს).

ცნობ. ფ. ვაჯამნი ეშაქისავან. (გააფურთხებს). (შემოდან ქართული ინტელიგენტები რიცხვით 10 კაცი, მუშა ხალხი, რაცხვით 3 კაცი და მრავალ თავდა-აზნაურობა).

ყველანი. (ყვირიან): საქართველოს გაუმარჯოს! (ყვირილი თან და თან დაწყნარდება).

ივერია. ორიოდ სიტყვის ნება მიპაჟეთ, ორი აქ სიტყვას! (ყველანი გაჩუმდებიან).

ჩემი სიტყვით მე მიგმართავ მუშა ხალხს, მხოლოდ მუშა ხალხს და სხვას არავის.

(სამივე „მუშა ხალხი“ წინ წამოდგება).

ძმებო და აზნაურებო! თქვენ საკმაო გათვითცნობიერებული ხართ დღეს. თქვენ ისეთი გათვითცნობიერებული ხართ, რომ უკეთესი არ შეიძლება... და რადგანაც თქვენ ვერ ძალიან ხართ გათვითცნობიერებული, ამიტომ მე მგონია რომ თქვენ თითონ მიხვდებით რა არის დღეს საქართველო ქართველი ერისათვის. და თქვენთვის, ქართული მუშა ხალხისათვის. თქვენ გულში ნათლათ ვითხულობ მე ერთ სიტყვას. ეს სიტყვა არის ავტონომია. ჩვენა ვართ თქვენი მომხრენი, თქვენთვის კეთილის მდომია... დღეს რა სჭირაა ქართველ ერს? მითხარით... (თვლებში ჩაატყრდება ხალხს, თითქო უნდა რაღაც ჩააგონოს). ავ...

ყველანი. ...ტონოპია... (ივერ. დინჯათ იღიმება და სიამოვნებით დაზე ხელს ისევას. ცნ. ფ. სიხარულით ხტის).

ცნობ. ფ. ნება მიპაჟეთ ორიოდ სიტყვა მოგახსენო. (ყველანი ყურს უგდებენ):

ბევრი გაჭირდება და ვი-ვაგლახი გამოვცადეთ, სანამ ის შევიქნებოდნით, რაც დღეს ვართ. რა ვიყავით წინათ ჩვენ? უბრალო ნაციონალისტები. შემდეგ ნაციონალისტ-ფედერალისტები ვავხდით! რათა? რათ და ეს უფრო კარგი იყო ეროვნებისათვის. ეროვნება... და ახლა ნაციონალისტ-ფედერალისტობა არ დაამყაროვით და ჩვენ მოთხოვნილებას და ჩვენთან ერთათ გაიზარდა ჩვენი სახელც: შევიქენით ნაციონალ-ფედერალისტ-დემოკრატები. თანდათანობითი ევოლიუცია ჩვენი პარტიისა ამაზე არ შეჩერდა, და ჩვენ სახელს შევმატა კიდევ ერთი სიტყვა: ავტონომისტები. ახლა ვართ ნაციონალ-ფედერალ-ტ-დემოკრატ-ავტონომისტები... ჩვენ ევროპულით სოზებეს, რადან ივენი ჩვენი სისხლას მამულეები იყვენ და ახლაც არი... უკაცროთ, „ზოჯგერ თქმითაც“ და შევდებისო: ამაზე ლაპარაკი ამ ჟამათ არ არის საჭირო. სოზებეს ჩვენ ძმებათ ვთვლით ამჟამათ... ამიტომ რომ ახლა ეს

*) ხალხ ჩვენ ვუსვამთ.

ასე უნდა. ავტონომია კი საქირია... ავტონომია დავიხსენის ჩვენ... მთელ ქართველებს დაიხსენის... საზოგადოთ ქართველმა ხალხმა არ მოითხოვა ავტონომია. ეს იმას ნიშნავს რომ იგი სულით და გულით ავტონომიის მომხრეა. ეს ნათლათ სჩანს. ოპ, რომ იცოდეთ რა კარგია ავტონომია! რატომ გაუბრის ამ სიტყვას მთელი ქართველთა ტრამია? მითხარით, თუ ღმერთი გწამდესთ, რა სურს მას? (ჩააცქერდება) ავ...

ყველანი. ტონომია!...!

ივერია. ჩვენ ენას სდევნის დღევანდელი მთავრობა...!

ცნობ. ფურც. ჩვენ ენას დევნიან. ჩვენ ქართველ ჩვეულებებს, ქართველურ ადათებს არ იღებენ მხედველობაში. ჩვენ, რუსების ჩინოვნიკები გვაწამებენ. არ უნდათ შეგვარჩინონ არაერთი განსაკუთრებული, ნაციონალური თვისება, ეს საზოგადოება. ეს აბუჩათ ავდებია... ჩვენ გვიყვარს ჩვენი ჩიხირთმა, გვიყვარს ქალი და ღამია, ბორში და სუბი არ გვინდა. რა გვინდა?

ყველანი. ავტონომია!...

ივერია. და **ცნობ.** ფურც. ერთათ: ჩვენ მრავალი მტრები გვყავს...

1-ლი ინტელიგ. ყველაზე უფრო დაუნდობელი მტერი ვერცთ წოდებული „დასელებია“

ივერია. ვაჟმინე ეშმაკისაგან. (აფურთხებს)

ცნობ. ფურც. ვაჟმინე ეშმაკისაგან (აფურთხებს)

ივერია. დიხ ბევრი მტერი გვყავს ჩვენ. ჩვენი მტრები ამტკიცებენ, ვითომ ავტონომია მუშა ხალხისათვის არ იყოს სასარგებლო. არ დაუჯეროთ მათ! ხომ არ დაუჯერებთ? გამოვუცხადოთ დასელებს დაუზოგავი ომია, იგინი თქვენნი მტერია: არ სურთ მათ...

ყველანი. ავტონომია!...

ცნობ. ფურც. ჩვენ არ გვინდა დღევანდელი წესწყობილება. ჩვენ ავტონომია გვინდა. მაშინ, როცა ჩვენ მოგვენიჭება ავტონომია, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვდეს! ჩვენ გვექნება ჩვენი პარლამენტი. ქართველები, სულ ქართველები, შორს ჩვენს პარლამენტში სხვა ელემენტები. იგინი განხეთქილებას შემოიტანებენ ჩვენ საქმეში. ჩვენ გვეუბნებიან: მაშინ სხვა ერის ხალხი, რომელიც კაცკასიაში ცხოვრობს, დაიჩაგრება. ტყუილია! ჩვენ ისე მოვაწყობთ საქმეს, რომ არავინ დაიჩაგროს...

ივერია. ჩვენ ისე მოვაწყობთ საქმეს, როგორც თამარ მეფის დროს გვექნა მოწყობილი. მაშინ სომხებიც და ურიებიც მშურათ ცხოვრობდნენ ჩვენთან. ამას გარდა ჩვენ გვექნება ჩვენი ეკლესია...

ცნობ. ფურ. ავტოკეფალური ეკლესია, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. ქართველი ბერ-მონაზვნები და ქართველი კათოლიკოსი. (პირჯვარს იწერს).

(ყველანი პირჯვარს იწერენ. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდება. სახეზე ყველას მოკრძალება და შიში ღვთისა ემჩნევა ყველას).

1 თავადი. გაუმარჯოს ავტონომიას.

2 თავადი. გაუმარჯოს ავტონომიას.

ივერია და ცნობ. ფურ. მღვრიან:

ჩვენ ვართ ქართველთა მოკეთე, მათთვის კეთილის მღამია, დღეს რა სჭირია ქართველ ერს? მითხარით!

ყველანი: ავტონომია!...

ივერია და ცნობ. ფ. რატომ გაუბრის ამ სიტყვას მთელი ქართველთა ტრამია? მითხარით, ღვთის გულისათვის, რა სურთ მათ?

ყველანი: ავტონომია.

ივერია და ცნობ. ფ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ჩიხირთმა, გვიყვარს ქალი და ღამია, სუბი და ბორში არ გვინდა. რა გვინდა?

ყველანი: ავტონომია.

ივერია და ცნობ. ფურც. გამოუცხადოთ დასელებს დაუზოგავი ომია: იგინი ჩვენი მტრებია! რა არ სურთ?

ყველანი: ავტონომია.

(ფარდა სულ ნელა ეშვება).

თავუნა

ყურნალ-გაზეთებიდან.

როგორც იყო, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ქვეყანაში სულ ივერიაშია დაიბეჭდა თ-დ ილია ქვეყანის საპასუხო წერილი «მოგზაურში» დაბეჭდილი კორესპონდენციის შესახებ. თ-დ ქვეყანაძეს თავის წერილი დაუწვია ადამის გაჩენიდან შემდეგ მოყოლია ადამიანობის და კაცურ-კაცობის შესახებ ლათიებს და თავის წერილი იმ ზომამდე გაუქიანურება, რომ ჩვენ მისი წაკითხვაც ვერ მოვასწარით, რომ ამ ნომერშივე გაგვეცა შესაფერი პასუხი. ამიტომ მომავალ ნომრამდე იძულებული ვართ დავიცოდეთ. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ თ-დი ქვეყანაძე გარდა ერთი მუხლისა არსებითათ სრულებით ვერ არღვევს ბრალდებას და მხოლოდ ჩვეულებრივი სიტყვის ბანზე ავდებით და უადვილო ოხუნჯობით ცდილობს ფონს გასვლას.


იას ფასიანი მადლობა.

ეს ერთი ხანია გავხეთ «ცნობის ფურცელში» თითქმის ყოველ დღე საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან იბეჭდება წერილები ზუგდიდში მომხდარ თავად-აზნაურთა კრების გამო.

„ღრმა მადლობას“ უცხადებენ ვასილ აღშიბაიას, მუშნი დადიანს და თითქმის ორმა მეუნარგიასაც მართალი სიტყვებისთვის, ხოლო ვლ. აღშიბაიას და ვ. აფაქიძეს წყველა-კრულვით იხსენიებენ. მეტათ საინტერესოა ვიცოდეთ, რამ ააღელვა წერილების ავტორნი. როდესაც რომელიმე პირი, ან ჯგუფი საზოგადოებისაგან გაიკცვის ღირსი ხდება ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ამ პირისაგან რაღაცა კარგს მოელოდა, ხოლო ცუდი კი მიიღო. ეს მოხდა იმის მოულოდნელად და აღშფოთებული საზოგადოება კიცხავს ამისთანა პიროვნებას. ზუგდიდში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა: შეიკრიბნენ ფეოდალები და ლაპარაკობდნენ ახლანდელ აგარაულო მოძრაობის წინააღმდეგ ზომების მიღებაზე. ერთი ნაწილი იმ აზრის იყო, რომ მთავრობას ვთხოვთ შემწეობასო, ხოლო მეორე ნაწილი კი ფიქრობდა საქმე შინაურულათ, შერკვებით გაერთაოთო. ერთი სიტყვით, ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა კრება ღვიძლი ძმა იყო თბილისში და ქუთაისში მომხდარ იმ გვარივე კრებებისა. ამ კრებებზე ხმა მალა არ წამოუძახიათ შეიძლება „ზარბაზნები, თოფებიო“, მაგრამ აზრი ხომ ერთი და იგივე იყო და სიტყვაში კი არ არის საქმე. აშკარაა, რომ შეძლებული ნაწილი თავად-აზნაურობისა წინააღმდეგია იმ აგარაულ მოძრაობის, რომელიც ხდება ამჟამად მთელ რუსეთში და კერძოდ კავკასიაში. შეძლებული ნაწილი მეთქი, ვაშობ, რადგანაც იმავე ზუგდიდის კრებაზე დავმეს აზნაურობის მეორე ნაწილი, რომელმაც გვთხვებს „ერთობა“ შეფიცა და რომელიც შეუძლებელთა ჯგუფს

ეკუთნადა. ის აზნაურები, რომელნიც კრებაზე „ტყვიან-
წამლის“ მოტრფილეთ გამოვიდნენ, მომხრე არიან სიტყ-
ვით პოლიტიკურ თავისუფლების. თავისუფლება იმით, რა-
საკვირველია, თავისებურათ ესმით და ეს კიდევაც დაამტკი-
ცეს ქუთაისის კრებაზე, სადაც თავისი ხმა „ეროვნული ავ-
ტონომიის“ მომხრეთ შეუერთეს. ასე ასრულდა „მოგზაურის“
წინასწარმეტყველება: ვლ. ალშინაია თბილისში რომ ყოფი-
ლიყო ეროვნულ ავტონომიის მოითხოვდაო. შეძლებული
თავად-აზნაურობა, აგრარული მოძრაობის წინააღმდეგია, ხო-
ლო „ეროვნული ავტონომიის“ მომხრე. აგრარულ მოძრა-
ობის წინააღმდეგ ის ახლანდელ მთავრობას შეველას თხოვს
ისე, როგორც მოთხოვდა „ავტონომიურ“ მთავრობას. ხო-
ლო უმცირესი ნაწილი ამ თავად-აზნაურობისა გრძნობს, რომ
ძალათ გლვებს მიწას ვერ მოახნევენებ, თვითონ ის ვერ მოხ-
ნავს და ისევე შერიგების გზას ადგა. როგორც პირველი, ისე
მეორე ნაწილი თავისი ინტერესს ემსახურება, მხოლოდ სხვა
და სხვა საშუალებით და ეს ზოგიერთებს, უსათუოთ თანხმ-
ობის“ მოტრფილეთ ძლიერ გაკვირვება და „ცნობის ფუ-
რკლის“ გვერდზე სასტიკ გაიკიბვას უთვლიან იმით, ვინც
აშკარათ გამოთქვებს თავიანთი ტირ-ვარამი და ინტერესი, ვინც
თავისი ნამდვილი ფიზიონომია აჩვენა ხალხს და ლამაზ სიტყვ-
ებს არ ამოეფარა. ხოლო „თანხმობის“ მოტრფილენი ცამდი
აყავით და უსურვებენ მათ მხნეობას და ყოჩაღობას, უსათუოთ
სამშობლოს საღვრებელი. ასე ადვილი საქმეა დღევანდელ
დროში, მკითხველო, ქება-დიდების დამსახურება. საქმარისა
ორიოდე ლამაზი სიტყვა თქვა სადმე კრებაზე, რომ ზოგიერთი
გულუბრყვილონი სულ შენ მზეს ფიცულობდნენ. მე არ ვიცი
თუ რამდენათ შრომობენ ხალხისთვის ბ-ნი ვ. ალშინაია და
მუშნი დაღიანი—ამას მომავალი გვიჩვენებს; ხოლო ის კი
ვიცი, რომ იონა მეუნარგია, ზუგდიდის მავრის მომრიგებე-
ლი შუამავალი, სულ არ ქადაგებს სოფლებში თანამედროვე
აზრებს, როდესაც მთავრობის მონდობილობით ყრილობებს
ახდენს. ამასთან არ შემოძლიან მცირე შენიშვნა არ მიეცე
იმ პირით, რომელნიც ბოლო დროს წერილებს ბეჭდავენ
ზუგდიდის კრების შესახებ. მართალია ვლ. ალშინაია და ვ.
აფაქიძემ მოითხოვეს რევრსიული ზომები მოძრაობის წინაა-
ღმდეგ, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს რომ მთა-
ვრობას არ სჭირია არავისი თხოვნა და ჯარს ისედაც ბევრს
გაგზავნის მოძრაობის ჩასაქრობათ; ეს თავის თავთ ცხადია,
რადგანაც დღევანდელი მოძრაობა, სოფლებში როგორც
გკონომიური, ისე პოლიტიკურია და ამისთანა მოძრაობა
თავის თავთ იწვევს მთავრობისგან საწინააღმდეგო ზომებს.
მაშასადამე ზევით დასახელებული ორატორების სიტყვებს რე-
ალური მნიშვნელობა არ ქონია, მაგრამ სამეგრელოდან გა-
დავირდეთ იმერეთში, თავად ილია ქაჭავაძის მამულში. იქ
ილია თვითონ ტანჯავდა თავის ვლვებებს მამაშვილურათ და
იმათ წინააღმდეგ არც ერთ საეკსპლოატაციო გზას არ ერი-
დებოდა—ამისთანა ილიას დღემდე არავინ გამოუცხადა საყ-
ვედური, თუმცა ეს ამბავი ვრცლათ იყო დაბეჭდილი „მოგ-
ზაურის“ ნომერში. ახლა ხომ ლამაზ სიტყვებს დიდი გა-
სავალი აქვს გულუ-ზურყვილო მკითხველებში და ამისთანა
სიტყვები თავად ილიას ლექსიკონში ბლომათ მოიპოება.

ბ. თეკლათელი



ქუთათურის შინაშენი.

ქუთაისში ეგრედ წოდებულ „პროგრესულ პარტიას“ დღემ-
დი ერთათ ერთი დაწესებულება—საურთიერთო ბანკი ებარა
და ყველას გვეგონა, რომ მას იგინი შეილივით მოუვლიდნენ
და მამინაცვლობას არ გაუწევდნენ. მაგრამ ამ 25 წლის თავზე,
როდესაც მის საიუბილეო დღესასწაულისათვის მომზადებუ-
ლიყვენ მისი პატრონი,—იგი დიდ განსაცდელში აღმოჩნდა.

ჩვენ ქუთათურ მოღვაწეებს ამ ბანკით მოქონდათ თავი
და თავიანთ სანაქებო საქმიანობის მაგალითათ მუდამ იმა-
ზე უთითებდნენ მტერსაც და მოყვარესაც. ამ ხნის განმავლო-
ბაში მათ საქმიანობაში ეჭვის შეტანა ფიქრათაც არავის მო-
სვლია; და მათი ნამოქმედარის კრიტიკაც ვერავის გაეხედა.
ბანკს ყოველწლიურათ ხარჯებს უდიდებდნენ და მის მსახუ-
რებსაც ჯამაგირებს და საჩუქრებს უმატებდნენ. მათდა იღბლათ
პრესასაც თვისი უწმინდესი მოვალეობა—სინამდვილის გა-
მოაშკარავება დაავიწყდა და ამათ დამცველათ და ნაკლულე-
ვანებათა დამფარეთ გამოსულიყო: აქაო—დაერთხელვე სახელ-
განთქმული კაცები როგორ რასმე წაახდენენ, ცუდა როგორ
მოიქმედებენო.

ასეთი დრო მეფობდა დღემდე საურთიერთო ნდობის
ბანკში, ხოლო დღეს ყოველივე პატრიარქალურს ძირი გამო-
ეთხარა და ჩვენი ბანკის ცოდვებიც გამოშხურდა. ვერ ვიტყ-
ვით, რომ ამ ცოდვებს ერთბაშათ წამოეყუთ თავი. არა, იმა-
თი ჩანასახი დიდი ხანია ბანკში არსებულა, ნელ-ნელა ზრდილა,
ზრდილა და დღეს ასე მძლავრათ დავგანახა თავი. დიახ, ამ
ჩანასახზე თითო-ოროლა, შეიძლება პირადათაც დაინტე-
რესებულ პირთაგანაც ისმოდა საზოგადოებაში, ბანკის საქმე-
ებს ცუდლათ აწარმოებენ და ყურადღება მიაქციეთო, მაგრამ
ამის მთქმელებს ისეთი უშვერი სახელით ნათლავდნენ, რომ
სინამდვილე ვერავინ გავიო. ასე იმალებოდა დღემდე შინა-
ურულათ, მეგობრულ-ამხანაგურათ ნაწარმოები ბანკის საქმე-
ები, რამაც, დღევანდელ მდგომარეობაში ჩაავლო იგი.

უკანასკნელ კრებებზე, როცა დამსწრე საზოგადოებას
წაუთიხხეს საზოგადო კრებაზე არჩეული კომისიის მოხსენება,
გარდა ბანკის ყოფილ თავმჯდომარის თ-დი თუმანიშვილისა
და ერთი დირექტორის კ. ლორთქიფანიძისა, ყველა მტერიც
და მოყვარეც განცვიფრებაში მოვიდნენ და ამბობდნენ: უპ, ეს
რა უქნიათ, რა უქნიათო; ჩვენ სდ გვეძინა ამდენხანსო.
მეორე ყოფილ, დირექტორთაგანმა კი (მ. ქუთათელაძემ)
ამას შემდეგი დაუმტა: კომისიის მოხსენებაში ყოველივე
სრული სიმართლეთა, აქ ერთი იოტის ოდენა არაფერია გადა-
მეტებული. მხოლოდ მე იმის ავტორებს არ ვეთანხმები იმაში,
რომ მათ გადაუწყვეტიათ ძველი გამგეობის სამოქალაქო და
არა სისხლის სამართალში მიცემა. ჩემის აზრით საქარაა სისხ-
ლის სამართალში მივცეთ ყველანი, როგორც გამგეობა, ისე
რჩევის და სარევიზიო კომისიის წევრები, რადგან ჩვენ თუ
დამნაშავენი ვართ, ისინი კიდე უფრო არიან სასჯელის ღირ-
სი, ისინი ხომ ჩვენი ზედამხედველები, კანტროლები იყვენ და
თუ რასმე ვაფუქებდით, რატომ თავის დროზე არ გვიმხელდნო.

ბანკის ერთი მეთაურის ამგვარმა კატეგორიულმა სიტ-
ყვებმა ხმების უმრავლესობა სრულიად დაარწმუნა კომისიის
დასკვნებში, ხოლო ზოგი კი ამბობდა, ეტყობა მას კარგათ
მლაუკვარახქინებია საქმე, რომ ასე დაქინებთ მოითხოვს სისხ-
ლის სამართალსო.

მაშ თუ ასეთა, თქვა კრების უმრავლესობამ, სუყველა
ღირსი ყოფილხართ სასჯელისო და 1 მისის კრებაზე, მიუხე-
დავთ იმისა, რომ კომისიის წევრებმა (ვექლებმა) და ახლან-

დღემა თავჯდომარემ სიმონ ღორთქიფანიძემ ბევრი უმტკიან აღწერებულ კრებას სისხლის სამართალში ნუ მისცემთ ძველდნისო, — ამ რჩევებმა აღარ გასჭრა და 115 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 46-სა მისცეს ისინი სისხლის სამართალში. ეს ბანკის ახლანდელმა მეთაურმა ს. ღორთქიფანიძემ იუკადრისა და იმ წაშლვე განცხადება შემოიტანა კრებაში, რომ ამგვარი თქვენი გადაწყვეტილების გზაზე მე ამ ბანკში სასახური აღარ მსურსო. მას ზამდენიმე რჩევის წევრებმა აყვეს და გუშინწინ ერთხმით არჩეულდება, დღეს ღვთის ანაბარით დატოვეს საქმე.

ძველი გამგეობის წევრები, რომელთა მეთაურები ბანკი განსაცდელში ჩაეარდა, დღეს პილატესავით ხელს იზიანენ და თავის მართლებათ ის მიაჩნიათ, რომ გაიძახინა: ბანკი რამდენიმე ახალგაზდა ავტორიტარ-ვეტილებმა დაღუპეს. ჩვენ ამ საქმეში უმანკონი ვართ, მარა სიმართლე არსად გვათქმევინეს არც კრებებზე და არს პრესაში. თუ რამდენათ მისდებია ასეთი თქვის მართლება ეს იმან განსაჯოს, ვისაც ძველი „ივერიის“ და „ქნობის ფურცლის“ №12 ახლავთ. მაგრამ ამ განხეთქმა არსებითად ვერაინ დაეკაყოფილა და ვისაც უფრო თქვა შეეძლო ძველების სასარგებლოთ, ისინი კრებებზედაც ბრწყინვალეთ დღუპდნენ და პრესაშიაც კინტი არ დაუძრავთ თავიანთ მფობრების სასარგებლოთ. რატომ, ეს თითონ მათ კითხეთ...

ანაირათ მათ (ძველებმა) არ მიიღეს თავზე არც მთავრობის და არც ჩვენთანების მიერ ნაწევრები აღარმგელი შეტომები და მისგან გამოსწეულ ზარალის პასუხის მგებლობა. მათ ერთი სიტყვაც არ წაპოცდათ დღევანდელ გამწვავებულ კრებაზე იმის შესახებ, რომ ამდენ ზარალში, თითონაც ვეცნათ ნაწილის გადახდა უსამართლოთ და უდავიდარბოთ, რომ ამით ძალზე აღელვებული ხალხი ოდნავ მაინც დამშვიდდებოთ და ზარტო ბანკის წევრებს არ დადებოდა ამ საერთო კრიზისის დროს ამდენი ზარალის გადახდა. პირიქით ანაირი განსაცდლის შოლოდინში თავიანთ კერძო საქმეებში შორს გამქვერეტ მოღვაწეებს აღრე უგრძნიათ ასეთი ბოლო მათ მიერ ნალოლიაგებელ ბანკისა და აღრე მიუზრგ-მორიუგებვით თავიანთი ქონება, რომ რუსის ორთავე პირით მჭრელ მახვილს— „уложение о наказаниях“ წოდებულს თუ ვინმე მიმართავდა, ამისგან ოსტატურათ თავი დაეხწიათ.

ისი.

საზრანგეთის ისტორიიდან
(1848)

I. ბურჟუაზიის გაბატონება.

(შემდეგი *)

როგორც ხედავთ, გლეხის წარმოების წესი და მისზე აგებული სოციალური მდგომარეობა მას ართმევს აქტიურ როლს და ხდის სხვა კლასის თუ პირის იარაღთ. როგორც სხვისი იარაღი ის თავისი სიძრავით იდნს როლს თამაშობს. ის პარტია, რომელსაც გლეხობა ემხრობა, აუცილებლათ იმართავებს და სახელმწიფოს იმორჩილებს. ამიტომ ყველა კლასმა პარტიას და მოღვაწეს თავის-თავი. პირველ ყოვლისა გლეხის მფობრათ გამოაქვს და მით მის მომხრობას ცდობლობს.

დღის რევოლუციის დროს გლეხობამ ემიგრანტთა დიდძალი მამულები ჩაღის ფასათ შეიძინი. ამით ევითომ დაიწყო მისი კეთილდღეობა. მაგრამ იმავე რევოლუციამ დაიშალა და გააძლიერა მერავე ძალა, რომელსაც გლეხის

მდგომარეობა უნდა დაექცია. ეს ძალა კაპიტალიზმი, ფულის ბატონობა, რომლის ტენდენცია ყველაფერს დაიმორჩილოს და ფულიანთა ხელში მოაგროვოს. გლეხობა დაეალიანდა, მას საადგილ მამულო ბანკების რამდენიმე მილიარდი დაედება და ასე ფინანსისტთა ბაღში გაეხა. მერავე მხრით, გამრავლების წყალობით საკუთრება დაუნაწილდა, დაუქცნდა და სიღარიბის შორეში ჩაყურყუმალავდა. ასეთ მდგომარეობაში მოუხწრო გლეხობას ივლისის რევოლუციამ. ის ამ ცვლილებას შეხვდა სრულიათ გულგრილათ. მირაბოს აზრით, გლეხი რევოლუციის აფასებს იმისდაგვარათ, თუ რამდენი ფული მოაკლო ამან მის ჯიბეს ან მოუმატა. პირველ შემთხვევაში ის ცვლილების წინააღმდეგია, შორეში — მომხრე, ხოლო თუ არც ერთი ეს არ მომხდარა— გულგრილია. ივლისის რევოლუციის მისთვის არც რამე წაუტრთმევია და არც მიუტია. ახლაც ის იე თესდა, ხნავდა, გადასახანს იხიდა, ცხოვრობდა, როგორც წინეთ. არავითარი ცვლილება არ განუტოდა და ბანკითთა გაბატონებას გულგრილათ შეხვდა. მარქსი აზომს, რომ „ისტორიულმა ტრადიციამ საფრანგეთის გლეხში დაბადებითი კაცის რწმენა, სახელად ნაპალეონი, რომელიც მას დაუბრუნებს ყველა დაკარგულ ბენდიერებას“. ეს რწმენა მასში ძლიერი იყო ივლისშიაც და უცდიდა თავის მესიას, რომელიც ოცი წლის შემდეგ მართლაც უნდა გამაჩნდიოყო და თავისი უმხგავსეობით, ეს რწმენა სამუდამოთ დაერღვია.

გლეხობაც, როგორც მთელი ბურჟუაზია, დანტერესებულია კერძო საკუთრების შენახვაში და თავისი სიმრავლით ბურჟუაზიული პარტიების სიმავრეს წარმოადგენს.

პროლეტარიატი. ეს არის ის ერთად ერთი კლასი, რომელიც მოკლებულია საკუთრებას და იძულებულია მხოლოდ თავისი ძალ-ღონის გაყიდვით იცხოვროს. ის როგორც კერძო საკუთრების განხორციელებული უარყოფა, პრინციპიალურათ სხვაგვება არა მარტო შეძლებულითაგან, არამედ წერილი ბურჟუაზიის ყველა ნაწილებსაგან. მხოლოდ პროლეტარიატია პირდაპირ დამოკიდებული კაპიტალიტებზე, დამოკიდებული როგორც მათი სიმდიდრის შემქნელი და თვითონ მულამ გაყველფილი. ცხდია ივლისის რევოლუცია ყველაზე უფრო მის ინტერესებს ეხება. მის უჩენს მძლავრ ბატონებს, აძლიერებს მის პირდაპირ მტრებს. ესენი წვირლ ბურჟუაზიას დასხვარავენ ფინანსიურათ, კრედიტის გაძვირებით, პროლეტარს კი მთელი თავისი არსებობით, მთელი თავისი საქმიანობით, ქირის შემცირებით, სამუშაო დღის გაგრძელებით, ზედ-შეტი ღირებულების გამოწოვით— ერთი სიტყვით ყოველი ზომებით. ამიტომ ის, წინააღმდეგ წვირლ ბურჟუაზიისა, ვერ დაეკაყოფილდება მანამდის, სანამ კაპიტალიზმი ერთიანთ არ დაინგრევა. მაშასადამე ის თავისი მდგომარეობით რევოლუციონერია, რევოლუციონერი უკომპრომისო, შეუჩრებელი და ბოლომდის მიმავალი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყოველთვის შეეწებული ქონდეს თავისი მდგომარეობა, თავისი ნამდვილი ინტერესები და მოწოდება. პირ იქით, როგორც ზემოთ დავინახეთ, ივლისის რევოლუციაში ის თავის ბატონების იარაღთ გადაიქცა და უბრალო შვი მუშაობით დაეკაყოფილდა.

ცნობილია, რომ შეგნება, იდურთი მდგომარეობა ჩვეულებრივით დამოკიდებულია ნიუთიერ მდგომარეობაზე. ფიქთ წარმოების წესი ქმნის შესაფერვ გონებრივ ურთიერთობას. ვაცნდეთ ამ მხრით პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება. ამ დროს საფრანგეთში ითვლებოდა 5 მილიონი სამრეწველო პროლეტარიატი. ამათგან სხვილი მრეწველობაში მუშაობდა მილიონ ორას ათასზე ცოტა შეტი (აშაში ნახევარ მილიონი დედაკაცი). წვირლი მრეწველობაში 3 მილიონზე მეტი (დე-

*) „საზრანგეთის ისტორია“ ნაწ. 1-ე წიგნის 1848 წ. კ. 1-ე მუხლი.

დაკაცი ერთ მილიონ 730 ათასი). პირველის პატრონთა რიცხვი შეიცავდა 121, 133, მეორის 1.548,334; ე. ი. საშუალოთ ერთ სხვილ პატრონზე მოდიოდა ათი მუშა, წვრილზე ორზე ცოტა მეტი. ხელობის ძირით ტანისამოსის წარმოებაში იყო ორ მილიონამდე მუშა, ქსოვის საქმეში ერთ მილიონამდის, სურსათისაში (რესტორანები და სხვ.)—ნახევარი მილიონი. პარიეში ირიცხებოდა 342,530 პროლეტარი (1847 წ. აღწერილ).

როგორც ხედავთ, პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა წვრილ სახელოსნოებშია დაბანდული და შეიცავს უმოთვრესესათ ხელობის მკოდნეთ, ხელოსანთ, აქ პატრონობს ხელოსნობა და არა მანქანების წარმოება. ბუნდ წვრილი წარმოებისა არის ორი რეკოლიუციური ცენტრი—პარიე და ლიონი. სტამბა, ოქრომჭედლობა, სამკერვალოები, ტრაკტიორესტორანები, შენობების აგება და სხვა და სხ. აი პარიეს მთელი წარმოების დარგნი. აქ მუშის გვერდზე ჩვეულებრივით თვით პატრონიც მუშაობდა, ხშირათ ყავა-ჩანებში დროსაც ერთთ ატარებდენ. დღესასწაულებში მუშები პატრონის ოჯახთან ერთ სულზე ჯდებან. დამოკიდულება შინაურული, პატრიარქალურია. პროლეტარი წვრილ ბურჟუაზიულ ატმოსფეროში ტრიონდება და აზროვნობდაც „გახანის“ გამსაგებებდა. როგორც მოხვედრისასში ძრვილი იყო გახანისების ლტოლვილება, თავისი საკუთარი სახელოსნოს გახანა და თავისთვის წარმოება. და ეს მით უფრო, რომ ამას დიდი ხარჯი არ სჭირდებოდა. ლიონში სადაც აბრეშუმის წარმოება მეფობდა. მხოლოთ ერთ ფაბრიკანტს ქონდა ფაბრიკა 400—500 მუშით, დანარჩენებს (800) არც ფაბრიკა მოეძუებოდა, არც რაიმე სახელოსნო და არც მუშას ქარაობდენ; ისინი მხოლოთ ყიდულობდენ ძაფს და ნაკრობით მოქსოვას ურიგდებოდენ შინ მქსოველთ. ამით აქეთ თავისი პატარა სახელოსნო და ერთი-ორი ნაქირა ები მუშები და ცოლშვილის დახმარებით ამზადებდენ. ასეთი შინამრეწველნი იყვენ 8,000, მუშები 30,000, ამდენივე შავი მუშა. არც ერთი ეს მუშა ერთმანერთისაგან არ განირჩეოდენ; ალა ხშირათ უარეს მდგომარეობაში იყო, ვინემ მისი მუშა. ერთი სიტყვით წვრილი წარმოება აწვრილმანებს პროლეტარს გონებას და წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებაში აყოფებს. სამაგიეროთ ის, როგორც ხელოსანი, გვირან ხელფასს იღებდა და გაუცვებსაც ადვილათ იგებდა. ამიტომ სხვა მუშებთან შედარებით ესენი უფრო განვითარებულნი, მკოდნენი და რევიოიუციონერნი არიან.

სრულიათ სხვა სურათს წარმოადგენს სხვილი მრეწველობის პროლეტარიატი. სხვალ წარმოებამ ფეხი მოიკიდა განსაკუთრებით ჩრდილოეთის პროვინციებში. ქალაქი ლილი, რუზე, რუანი და სხვა შეიქნენ ცენტრი ბამბის და შალის ფაბრიკებისა. აქ იქმნებოდა დიდძალი სიმდიდრე, აქ გროვდებოდა დიდძალი კაპიტალი და იმავე დროს აქ იყო ყველაზე უფრო გასაწულბული და ვალატაყებული პროლეტარიატი. მანქანამ განდგენა ხელოსანნი და მის ალაგას მარტივი მუშა ჩააყენა; გამოიყენა შრომა დედაკაცის და ბავშვის და მათ მამაკაცის ქირა დასწია. გაფიცვა თითქმის შეუძლებელი გახდა. ამ მდგომარეობას კიდე უფრო აწვავებდა ხშირი კრიზისი, წარმოების შემცირება, მრავალ მუშათა უსაქმით დარჩენა „ათადარიგო ჯარის“ გამრავლება, მუშათა შორის შეტაკების გაძლიერება და ქირს დავარდნა. ნაკლები ქირა, ვრძელი სამუშაო დღე, ხშირი გაცდენა—აი ხვედრი ამ დიდი მრეწველობის პროლეტარისა. ამან დაბადა უკიდურესი სრულტაკე, პაუპერიზმი და მუშის გოაგებრევათ და ზნეობრივით გოაგასირება.

პრეფექტების გამოკვლევით (1829 წ.) იმ პირთა რიცხვი, რომელნიც საქველ-მოქმედო დაწესებულებების და ოფიციალურ დახმარებას ღებულობდენ სორანგელში იყო მილიონ ნახევარზე მეტი, ე. ი. 20-ზე მოდიოდა ერთი პაუპერი; ესენი ქალაქში საჭჯერ მეტია, ვინემ სოფელში, ჩრდილოეთში მეტია, ვინე სამხრეთში. ნორდის პროვინციაში (ჩრდილოეთი) 6 მცხოვრებზე ითვლებოდა ერთი პაუპერი. ქ. ლილში 70 ათას მცხოვრებში 22,281 პაუპერი იყო. ამითგან ოთხი ათასამდის მცხოვრებენ ვიწრო და დაბალ სარდაფებში, მკაცრული პაერს და სინათლეს, ჩაფულუნნი ასაშფოტებელ უშინდურობაში. ერთ და იმავე ლოგინზე წვიან ქმარი, ცოლი, შვილები, ხანდახან მოზლირი ძმები და დები. პარიეში ირიცხებოდა 66 ათასი პაუპერი, 13 მცხოვრებზე ერთი. ესენი თავ შეყრილნი იყვენ განსაკუთრებით მუშათა უბნებში. ამ რიცხვში არ შედის რასაკვირველია ის ლატაკნი, რომელნიც სირცხვილით მალვენ თავის სისაწყლეს და ოფიციალურ დახმარებას არ ღებულობენ, არც ისინი, ვინც დახმარებას ღებულობენ თავის სახლში კერძო ქველმოქმედებისაგან. თუ ყველა იმას ვიან-გარიშებთ, გამოვა რომ იმ დროის საფრანგეთის პროლეტარიატი დიდათ დავარდნილი ყოფილა.

ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა პროლეტარიატის იდეოლოგია. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, წვრილი წარმოების მუშა ტანებოდა „გახანისებს“, მარა რადგანაც თუთფულს ეს თავის საშუალებით აუ შეეძლო, დაიბადა აზრი შეერთების, ამხანაგობის დაარსების, ასოციაციის და ასე საერთო ძალდონით, საერთო სახელოსნოს დაარსებისა. ეგვეე აზრი ტრიონდება წვრილ ბურჟუაზიაშიაც სხვილი ბურჟუაზიის უღლისაგან განსათავისუფლებლათ. ასოციაცია „ხალხის“ გაქირვების ერთთ-ერთ მალაპოთ გამოცხადდა. ის მისცემს პროლეტარს საკუთრებას, წვრილ ბურჟუათ ბანკირთაგან დამოუკიდებლობას. ამიტომ ყველა ამ დროის რეფორმატორი პირველ ყოვლისა ასოციაციის მოციქულია. დავა იყო მხოლოთ იმაზე, ასოციების დაარსება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ძალდატანებით (სოციალისტები) თუ მხოლოთ იაფი კრედიტით. სახალხო ბანკებისა გახსნით (რადიკალები). მაგრამ თვით პრინციპი, ნიადავი კი ორივე კლასს ერთი ქონდა და მით მუშა კიდევ ერთხელ წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებაში გაიხლართა.

სხვილი წარმოების მუშა, რასაკვირველია, ვერ იფიქრებდა იმას, რომ ამხანაგობის დაარსებით ფაბრიკანტი შევიქნებოდა. ის თვალ წინ ხედვდა უზარ-მაზარ მანქანებს, რომელთა შექმნა და ამუშავება ლატაკ მუშათა ასოციაციას არ შეუძლია; აქ „გახანისების“ ნიადაგი არ აქვს. სამაგიეროთ აქ მუშას აწუხებს ხშირი გაცდენა, ქირის დაწვევა, სამუშაოს უქონლობა. იბადება ის აზრი, რომ გაცდენის მოსპობა, ყველასათვის სამუშაოს მიცემა მოსპობს კონსერვაციის მუშებში, ვსწვეს ქირას და ასე სილატაკე გაქრებათ. აქედან წარმოსდგა მოთხოვნილება „შრომის უფლების—droit aux travaux, ე. ი. უსაქმით დარჩენილთ სახელმწიფომ უნდა გაუჩინოს სამუშაო. აი ეს მოთხოვნილება წმინდა პროლეტარულია და როგორც სხვილი, ისე წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს ერთიანათ ეწინააღმდეგება.

ამ ნიათათ, პროლეტარიატის ნივთიერმა მდგომარეობამ დაბადა ორი იდეური მიმდინარეობა—ასოციაცია და „შრომის უფლება“. ამ აზრების მქადაგებელთ დარქვით სოციალისტები, მაგრამ რადგანაც ამის განხორციელება ნიშნავს „შრომის გაწესრიგებას, ამიტომ სოციალისტთა დროშაზე წაიწერა ორი სიტყვა „შრომის ორგანიზაცია“.

რა საშვალელებით უნდა მოხდეს ამ რეფორმის განხორციელება? საღ არის მისი გამტარებელი ძალა? პროლეტარიატის მეტის მეტ დაწავრამ მისი გონებრივ, ზნეობრივ და ნივთიერ გათახსირებამ როგორც მუშაში, ისე სხვა კლასებში და მოღვაწეებში დაბადა აზრი, რომ ის არავითარ ძალას არ წარმოადგენს და როგორც ავადმყოფი მხოლოდ შეტარლებას და განკითხვას საჭიროებს. მაშასადამე მისი ცხოვრების ვაჟმჯობესება, სილატაკის მოსპობა შეუძლია არა თვითონ იმას, არამედ გაბატონებულ კლასებს; ამიტომ ყველა რეფორმატორი, დაწყებული სენ-სიმონით და ფურიერთ და გათავებული ლუი-ბლანით თავისი პროლეტარიატის განმათავისუფლებელი პროექტებით მიმართავენ არა პროლეტარიატს, არამედ ბურჟუაზიას, არისტოკრატებს, მეფეს და ქველ-მოქმედთ. ლუი-ბლანის ცნობილი წყენი: „შრომის ორგანიზაცია“ (დაიბეჭდა 1839 წ.) ასე იწყება: „მდიდრებო, თქვენ მოგმართათ ამ წიგნით, აქ არის კითხვა ღარიბების შესახებ, ხოლო მათი საქმე თქვენი საქმე არის“. ამ აზრს ვერ გასცილდა თვით უღრღესი რევოლიუციონერი ოგიუსტ ბლანკი, ეს, მარქსის სიტყვით „პროლეტარიატის ქემაროტი წარმომადგენელი“, რომლის შეხედულებით საჭიროა შეთქმულობების წყალობით მთავრობის ხელში ჩაგდება და ასე „მალიდან“ სოციალიზმის განხორციელებით პროლეტარიატის გაბედნიერება. მხოლოდ ისეთ გენიოსს, როგორც მარქსს, შეეძლო ამ დროს მთელი ეს აზროვნება გადაეტრიალებია, პროლეტარიატისათვის ნდობა გამოეცხადებია და მისთვის შეეძახა: მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა, პროლეტარო ყველა ქვეყნისავე, შეერთდით! მაგრამ—ეს მოწოდება მაშინ მხოლოდ „ხმა მლაღადებლისა“ იყო და პროლეტარიატში გავლენა არ ქონდა.

თავის თავთ ცხადია, რომ რაკი პროლეტარიატის განთავისუფლება კაპიტალისტების უღლისაგან თვით კაპიტალისტების შეწყობით უნდა მოხდარიყო, ეს რევოლიუციური გზით ვერ იქნებოდა. და მართლაც ყველა რეფორმატორები (გარდა ბლანკისა) მშვიდობიან საშვალელებს ქადაგებდნენ. საჭიროა მხოლოდ კარგი პროპაგანდა, შეძლებულთა დარწმუნება და ყოველივე ურევოლიუციოთ, საერთო ნებაყოფლობით მოეწყობათ. ლუი ბლანი, ეს ამდროის მუშათა იდეოლოგი, სწერს: „ამ ნაირი დესპოტიზმის (კაპიტალიზმის) დანგრევა საქმეა მეცნიერების და არა აჯანყების“. („Histoire de dixans“ ტომი მე-V, გვ. 501, დაიბეჭდა 1840 წ.). ამიტომ ესენი სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. საქმე მთავრობის მომხრობაშია და არა მის გამოცვლაში, საქმე მეცნიერებაშია“ და არა რევოლიუციაში. ამ აზროვნების წინააღმდეგი იყო ბლანკი, რომელიც პროპაგანდას, მოძღვრებას თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა და მხოლოდ „მოქმედებას“, აჯანყებას აფასებდა. მთელი მისი მოღვაწეობა როგორც ქცევით დაინახავთ, იგი ეს მოქმედებაა.

როგორ უყურებდა პოლიტიკური ბრძოლას თვითონ პროლეტარიტი? ივლისის რევოლიუციამ მას ერთიანათ შეაძულა პოლიტიკური ასპარეზი; მისი ბურჟუაზიის მიერ მოტყუებამ და პირვანდელ უფლებებობაში ჩაპრუნებამ მუშებში გამოიწვია რეაქცია, რეაქცია არა საკუთარი პოლიტიკური პარტიის შესადგენათ და ბურჟუაზიისაგან გამოსაშორებლათ, არამედ საზოგადოთ პოლიტიკის უარისაყოფლათ და სახელმწიფოს ბურჟუაზიისათვის დასათმობათ. ეს იყო შედეგი სასოწარკვეთილების. ამ მხრით არა გამოვა რაო, ამიტომ პოლიტიკური მოძრაობით იმედ გაცრუებულნი, შეუღდენ ეკონომიურ მოძრაობას და წინ წამოაყენეს ეკონომია უზო-

ლიტიკოთა. დაარსდა მუშათი ურთიერთ დახმარე საზოგადოებები (მუტუალისტები), რომელთა წესდება პირდაპირ კრძალავდა პოლიტიკურ კითხვებზე ბქობას. ამ მიმართულეებამ თავისი თეორეტიული გამოხატულება ჰპოვა პრუდონის „ანარქიაში“ (პოლიტიკური ბრძოლის უარის ყოფა), თუმცა მის ნაწერებს თავისი გაუგებარი ენის წყალობით მუშებში მკითხველი ცოტა ყავდა.

ამ სახით, წვრილი ბურჟუაზია დაინტერესებული იყო პირველ ყოვლისა პოლიტიკურ რეფორმაში, პროლეტარიტი კი ეკონომიურში. პირველი იძლევა პოლიტიკურ პარტიებს, მეორე ეკონომისტებს და ეკონომისტ-სოციალისტებს. ორივე კლასის ბრძოლის ველზე ერთათ გამოსვლა და საერთო მტერზე იერიშით მისვლა მოითხოვდა მათ მიერ ერთი მეორის მიმართულების შეთვისებას, ე. ი. წვრილი ბურჟუაზია უნდა მიმხრობოდა სოციალურ რეფორმებს, პროლეტარიტი—პოლიტიკურს. ეს ერთის „გასოციალისტება“ და მეორის გარესპუბლიკანება მოხდა თანდათან, მტერთან შეტაკებით, ბრძოლის ველზე.

აი ასეთი იყო თვითეული კლასის პოზიცია, მათი ბუნება და ერთმანერთთან დამოკიდებულება. თვითეულმა მათგანმა ბრძოლაში თანდათან განავითარა თავისი პრინციპი; ჩაოაყალიბა თავისი სახეობა და გამოჩაყვეთა საკუთარი მდგომარეობა. როგორ მოხდა ეს? როგორი იყო მათი ბრძოლა? ან.

(შემდეგი იქნება).

ნილაზ აზარბუღული ქართველი „პედაგოგები“.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამას წინათ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მოხდა თფ. პედაგოგთა კრება. მოუთმენლათ მოველოდით ასეთ კრებას, ჩვენ მოსწავლენი. საბედნიეროთ ზოგი მოსწავლეთაგანი კიდევ დაესწრო იმ კრებას, რომელზეც ჩვენს ზნეობრივთ და გონებრივთ აღმზრდელთ უნდა წარედგინა საზოგადოებისთვის თავიანთ მოქმედების ანგარიში და ახალი, ჯერ კიდევ უცნობი, დამალული საბუთები წარმოედგინათ. საზოგადოებას უშიშართათაც დაწვრილებით შესწავლილი აქვს ახლანდელი ბნელი, ყალბ ნიადაგზე დაყენებული შკოლა. სანტერესო იყო მხოლოდ ის: ყველა ჯურის „პედაგოგები“ წარსდგებოდნენ საზოგადოების წინაშე თუ არა. როგორც მოსალოდნელი იყო არ გამოჩნდნენ ის ბიუროკრატები, რომლებიც პედაგოგებთ არიან წოდებულნი. საქმე მიდგა ლიბერალ პედაგოგებზე და ამათაც რასაკვირველია დაიწყეს მალალ-მალალი აზრების ფრქვევა. როგორც უკვე იყო მოხსენებული ადგილობრივ გაზეთებში, პატივემულმა პედაგოგმა ბ. ცვეტნიციკიმ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ახლანდელ შკოლის ცხოვრებიდან. აქ ჩვენ არ გამოუდგებით თუ რამდენათ უნაკულლოთ შეასრულა მან ეს. ამ მკირე წერილში გვიანდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება უმთავრესათ ზოგიერთ ქართველ „მამა“ პედაგოგებს. ერთმა მათგანმა პედაგოგთა კრებაზე შემოფარგლა თავისი „რჩეი“, იმით, რომ ჩვენი, ე. ი. მოსწავლენების გაუეთვარება ლობა პირდაპირ დამოკიდებული არის ახლანდელ შკოლეში ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლების მოუწყობლობის გამო. თუ რამდენათ მართალია ეს შეხედულობა ამის გადაწყვეტა მკითხველისათვის მიგვიანდვია. გატაცებულ მალალი ფრაზებით შეემკო თავის მოხსენება ბ. შ. ა. ჩიტაძესაც. ოპ, სირცხვილო! ვინ ებლაუქება თავისუფალ, დამოუკიდებელ შკოლას!... ეს ის ადმინისტრატორი—პედაგოგია, რომელმაც 26 იანვარს, საქმის გამოუძიებლათ, მოუხეწვიე პოლი-

ციელის ზომების მეოხებით აიძულა თორმეტი *) მოსწავლე მიეტოვებია მისდამი რუმუნებული თფ. სააზნაურო შკოლა. როდესაც 26 იანვარს, დღი დასვენების დროს, მწიფდობიანათ მოვთხოვეთ ჩვენი პალტოებიდა ქულები მათგანვე დარიგებულ მცველს, ჩამოარბინა ძირს სადაც ჩვენი პალტოები იყო და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა: **ЗАМОЛЧИТЕ, А ТО Я ВАСЬ ВСЕХЪ ВЪ ПОЛИЦІЮ ОТПРАВЛЮ!**—ო. მცველი რომ მისგანვე იყო დარიგებული ვამტკიცებ მისი აგენტ-მოწაფეების პირით, რომელნიც მცველთან ერთად გადაგველო-ბენ წინ. როდესაც ბ. ჩიტაძემ კითხა მათ: „რათ, არ ანე-ბებით წასვლას“; დაიბნენ და ასე უპასუხეს: „თქვენ არ გვირბა-ნითო!“ პოლიციაში წაყვანილ და მუქრებამ ძალზე აგვადლევა-ამ სახიზლარი მუქარით რომ ვერ შევვაჩერა, მერმე მიმართა ჩვენ დოკუმენტებს, ჩვენც მეტი არა დაგვჩინოდა რა; დაფ-თანხმდით. როდესაც შეგვიყვანეს კანცელარიაში, როგორც „დამნაშავენი“, იქ დატყვევდა დავიწყო: „ДА, ВЫ, АЖЕ СО-ЦІАЛЬДЕМОКРАТЫ“—ო და სხვ... ერთი ჩვენგანი მიუ-ბრუნდა და უთხრა: „იკარეთ, ჩვენ ახლა არ შეგვიძლია კა-მათი, რადგანაც ძლიერ აღელვებული ვართ და მოკლე შო-მავალში ვეცდებით თქვენი ფიზიონომია გამოვიკიდოთ საზო-გადროების წინაშე და ის დაგდებსთ მსჯავრსო“.

მოიგონოს ბ. ჩიტაძემ თავისი სიტყვები, რომელიც მან 26 იანვარს უკანასკნელათ გვითხრა: „კარგი, ბატონებო, რაც გინდათ ის ქენით, მხოლოდ ჩვენ შკოლას ნუ აგვირვეთო“. სწორეთ ახლა ვნახეთ მომარჯვებული შემთხვევა, რომ ვამ-ცნოთ საზოგადოებას მისი პოლიციური მოქმედება: ამიტომ, ნუ გაუკვირდება ბ. აღმინისტრატორ—„მედა-გოვს“ თუ აღდენხანს ვერ შევასრულეთ ის, რაც დავპირდით ჩვენთვის დაუვიწყარ 26 იანვარს. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფაქტსაც არ დაიჯერებენ ჩვენი ბურჟუა-ნაციონალ-დემოკრატები. ამის გაგონებაზე მორთავენ ყაყანს: როგორ გეკადრებათ! ჩვენს ერთადერთ ნაციონალურ შკოლაში, სა-დაც სულ ჩვენები არიან პედაგოგები! ვერ დაგიჯერებთ, თვალვებზე ხელს ავიფარებთ, ყურებში ხელს გავიჭობთ: არა ეს დასაჯერებელი არ არის!“ დიად ჩვენც კარგათ ვიცით, რომ თვალვებზე ხელ აფარებული ეგებებიან ეს ვაებატონები ყველაზე უფრო შეურყეველ ფაქტს.

იმის დასამტკიცებლათ თუ ვინ ბძანდებიან თფ. სააზნა-ურო სკოლის „პედაგოგები“, მიუბრუნდეთ იმავე 26 იანვარს. როდესაც უკვე მოხსენებული სცენა „მწყობრათ“ მიმდინარე-ობდა, არც ერთმა „პედაგოგმა“, და არც „აღმზღველმა“ არ მოისურვა კანცელარიაში ჩამობრძანება და იმ მიზეზის სა-ფუძვლიანათ გაგება თუ რისთვის მივიღოდით სამუდამოთ თორმეტი მოსწავლე. ვითომც არაფერი არ მომხდარიყოს; ყურიც კი არ გაუბერტყათ. არც გვიკვირდა, რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ მათ მყუდროებას „ჩვენისანა ბავშვებ-ის მეტიჩრობა“ ვერ შეინძრევდა. მხოლოდ ერთი მათგანი ჩამოვიდა და გვითხრა: „სად მილიხართ! გეფიცებით... რომ მუშათა მოძრაობა თქვენგან „მსხვერპლს“ არ საჭიროებს და თქვენ თავს კი ტყუილათ დალუბავთ, დაბრუნდითო“. კარგათ ჩაუკვირდი მკითხველო ამ ბატონის სიტყვებს და უთუოთ მისხვდები თუ რას ნიშნავენ ისინი. მეორე, არა პედაგოგი, **3. მირიანაშვილი** შემდეგი სიტყვებით შეეგება მეზობელ ოთახში შესულ პირს: „კაცო რას ჩაკვივებიხართ, წავი-დენ!“.

დიად, მკითხველო, ასე დანტერესებული იყვენ, არიან

*) ამთგან ოთხი კაცი მშობლების დახმარებით რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დააბრუნეს სკოლაში.

და კვლავ იქნებიან მოსწავლეების ყოფა-მდგომარეობით ქართველი „პედაგოგები“. სხვა კიდევ ამისანა მრავა ლი რეალური საბუთები ნათლათ ამტკიცებენ, რომ ქარ-თველ მოსწავლეებს მხოლოდ ტომით ქართველი პედაგოგები ვერ მისცემენ გონებრივ და ზნეობრივ საზრდოს. მარტო ქარ-თველობა, „ჩვენობა“; არ კმარა. სწორეთ ესეთი პედაგოგები და მათი ამქრები ნაციონალ-დემოკრატები უგალობენ ერო-ვნულ ავტონომიას და მასთან ერთათ, რასაკვირველია, ერო-ვნულ შკოლებსაც, ჩვენ ვერ ვენდობით ვერც მათ შექმნილ ავტონომიას და ვერც მათ კლანჭებში ჩავარდნილ შკო-ლებს...

6. ეიფიანი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თუმცა დღეს თქვენს გაზეთს ისეთაც საქმე ნაყოფიერი ბევრი აქვს და მღვდლებთან კამათისთვის გაზეთის ფურცლებს ვერ მოაქდნეთ, მაგრამ მაინც უმოჩილესათ გთხოვეთ დამისტამოთ ეს წერილი ენაილგან ეს უკანასკნელათ იქნება ჩემგან პასუხი: როგორც ღარიბ კაცს, მე არა მაქვს იმდენი დრო მუქთა ტაბლით გამძღარ კაცს ევაშითო და და დრო დავკარგო, მით უმეტეს, რომ კარგათ ვიცი კედელზე ცერკვი არ გაჩერდება.

მე მინახავს ახანოს მატლები ბნელ კუნტულში მარდთ დაცო-ცავენ—დანავარდობენ, მაგრამ ახანოს ქეებსაც კი უმოწყალოთ ღრღნიან მაგრამ თუ იმთ ცხოველ-მყოფელ მზის სხივებზე ახანოდან გარეთ გა-დაყრით, ჯერ საცოდავთ დაიწყებენ თავის წყევტებას; ფორთხვას და მერე უტბათ ქრებიან დღის სინათლზე. სწორეთ აგრევე ხდება დღეს ცხოვრებაშიც: დაბერა ცხოველყოფელმა გაღანათისყოფლებმა სიომ ჩვენს დაბნელებულს, ამყარებულ ცხოვრებას. მისი ბნელი ფარდის კუნტულები შეანძრია და ფარდის შიგინთ დაბუდებული ბნელოთის მხეცნი და ქვემბრომნი, მწარეთ აღრიალა და შექმნეს საერთო განწირულის ხმით ირონტრიალი. შესანიშნავი სურათი კი გამოჩნდება ფარდის ჩამოვლევის შემდეგ. ზოგი იმუქრება: როგორ გაბედეთ ფარდის განწირველი, ზოგიც თავს მართლულობს, ძმობა-მეგობრობას პირდება იმას, ვისაც გუშინ არაფრათ ცნობდა, აი ერთ ამ უკანასკნელთგან უნდა ეკუთვნოდეს მღ. ა. ჯალია-შვილიც. ჩემს წერილს, დასტამბულს „მოგზაურის“ № 13 იხე გაუჯავ-გებია მ. ჯალიშვილი, რომ „მოგზაურის“ № 16-ში წერილი მოუთა-სებია და თავს იმართლებს ჩემი წერილის წინააღმდეგ. ბძანებს ცარი-ელი ლიტონის სიტყვით, რომ ყველა ის სიცრუე-ცილისწამება არის და ჩირქს სცხებს ჩემს ხალხის სასარგებლოთ მოღვაწეობას-ო. თავის წერილში იმომეებს ერთს, მხოლოდ ერთ კაცს, ისიც იციოთ როგორს? ვისთვისაც სულ ერთია: ამყალს აყვება თუ დამყალს დაყვება, ე. ი. მისა ჩინაიძეს. იმოდენა ყრილობაში რალ იმას ასახელებს მოწმათ, ხომ კარათ ახსომს მ. ალექსანდრეს, რომ სხვები იმაზე უტეთ მწიგნობარნი ელაპარაკებოდენ, ისინი რათ არ დასახებლა რაც შენება ბ. ზ. მას-წაველებელის მელიას და ხატისკაცის მოწმობას აქ კი მ. ჯალიაშვილივე ვერაფრათ გამოიყენა რასაც თითონვე აღვივართა თავის წერილშივე. მხოლოდ შემოკლებით და „შალაშინ“ გასმით „აი აქ ამოვიღე ხმა და ურჩიე ჩვენებურებს (მარტო თქვენებურებს?), ბძანებს მ. ალექსანდრე, რომ ესენი კი არა გურამიანთ კარელები უნდა გამოვიდნენო იმ მოსა-ზრებით, რომ უმრავლესობა აქეთ იყო (რათ ევარებოთ ზგ ყალბ საბუ-თსა თქვენ კარგათ იცოდით, რომ იმ დროს უმრავლესობას არავითარი უპირატეობა არ მიეცივოდა. [თქვენი აზრი კი სულ სხვა იყო...]) და აღვი-ლიც მოხერხებული იყო-ო!“ (ნეტა რით?) ეს ხომ უმასწავლებლოთაც თქვენ თითონ დაამტკიცეთ. ახლა გვჩება დასამტკიცებლოთ ის, რომ მე „მიმიტმანსებია“ (თქვენი ლექსიკონიდან ესესხულობ ამ სიტყვას) განგებ „სეკრეტარი და პრედესდატელი“. როგორც ეს, ისე ზემოთ ჩამოთვლილი მთელს საზოგადოებას და სხვათა შორის სოლო ამირბა-ნანიშვილს, ისევ კობაიძეს და მისა ინაშვილს ეკითხოს თუ მე „მო-უტანე“. კიდევ ერთი გარემოება დაგვჩნა: თქვენ ბძანებთ: მღ. მარტს ყრილობაზე მე არაფერი მიჯაშუშნიაო. ესეც მტკიცდება საბუთით, რომ მართალია. ზემოხსენებულ რიცხვში, როცა საგურამო საზოგადოება შე-

კრიბა და მივიდა სოფ. გალავანთან; სამხარეთელს უზრს წინ (აწ მემამულეთაგან წართმეულია და მათი საკონარის სადღამთო ივადქუეული გლეხების ასი თუმნით აწმენებული სამხარეთელია). ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ს. გურამიანთ-კარის მღვდელი ელიევი რომელმაც შეურილ საზოგადოებიდან გამოიხმნო სამი კაცი და უთხრა: შეიღებამ ესლა თქვენ რამ ყრილობას აპირებთ, მე რალა მეწველება; ზოგიერთებზე ნისია მაქვს დაბრუნელი (რადგან ნისიათ მიუტია ცხონება. ეტყობა დახლო „სორტის“ უნდა ყოფილიყოს), ზოგზე დრამა. ეს მაინც მოვაგონეთ ყრილობას გინაიდგან ჩვენც ცხონებამ გვინდა. რითი და როგორ ვიცხოვრობთ? ამაზე უპასუხეს; რითაც ჩვენ ვიცხოვრებთ, შენც იმით ვიცხოვრე; მიწა ბევრია, იმრომე და იცხოვრე. ასეთი პასუხის შემდეგ ცხენით მოკურსლა თქვენსკენ. მეზე ხომ ერთთ შეიყარენით ორიგენი თქვენს სახლში. შემდეგ გამოისტუმრე მამა ელიევი, მაგრამ იმან თვალი მოჰკრა ქოპორტის საზოგადოებას, მომავალს ყრილობაზე, რომელთაც თქვენის სახლის წინ უნდა გამოეყლოთ. უცბათ მოატრიალა ცხენი მობრუნდა ისევ თქვენთან, გამოვიხმოთ კარში და მიგითითათ ხალხზე. შემდეგ ხომ ის მოხდა, რაც ზვეით ვთქვი. მეზე ისევე მარტანი დარჩით და დიდხანს იმუხაიფეთ. ამავე საღამოს მღვდელიც სტაროსელსკისთან აივანზე იჯდა და ბეზდენ იმ დღეს ყრილობაზე და თქვენს გეგმაზე. ხალხის საბედნიეროთ კაცი კეთილი არ დაილევა და, არა არს საიდუმლო რომელიც არ გამოეყლანდეს? კმარა, მაშინა აღუქსანდრე, კმარა, კრისტეს მიერ მწყემსო ჩვენი. შეურიგდით იმ აზრს, რომ გაფრინდა ის; თქვენთვის ნეტარ სხენებელი დრო, როდესაც სხვა და სხვა „ინდულგაციებით“ სიმძირღეს აგროვებდით. აი მაგალითათ, როგორც თქვენ ზოგიგონათ და მიგითათ იაკობა დორეულისათვის თქვენ მიერ შეოცე საუკუნეში გამოგონილი „ინდულგენცია“ შივა სწერია თქვენის საკუთარის ხელით: „იაკობა დორეულისაგან მივიღე ჯვარის საწერი, საცხონებელი და საკანონი 19 მანეთი მღ. ალ. ჯალიაშვილი“. უცნაურია თქვენმა შუგე; ჯვარის საწერი კი გვესმის, მაგრამ ეს საცხენებელი და საკანონო რალა ეშმაკი უნდა იყოს? 16 მანეთი ამაზე „მოლის“ ხარჯი ზაქრო ძაგანაშვილისაგანაც მოგრობოვით, პატარა სოფლის ფლობელთა მამათ ფილა გულბათაშვილს, სანდრო ბეკაურს და ჩიტო ბეკაურს ასეთსავე საკანონეს თხოვთ ოთხ-ოთხ მანეთს; წინაღმდეგ შემთხვევაში უკრძალავთ ეკლესიაში შესვლას და ყოველგვარ მღვდელ მსახურებას. ნეტავი რას იტყვი თქვენ მაშინ, ისინი რომ მართლა ახლოს აღარ გაგეყარნენ. წელს ბზობის დღეს დასაფლავეს კოკელა გულბათაშვილი, სამაზის, წინგასამდგარო და საცხონებელი 9 მანეთი გადაახდენინეთ, ისიც, ახალი ერთობის ხატობათა, თორემ წინათ თურმე ძალიან ძვირი ყოფილა ცხონება. ყველა ამაგს შემდეგ სხვა, თქვენ ადგილას, ბევრი არ დაიწყებდა თავის გამართლებას მაგრამ გეტყობათ, ესეც ერთ ნაირ სიგულადეთ მიგაჩინათ ან თქვენგებურათ გესმით.

დასასრულ, მ. ჯალიაშვილი არ შემიძლიან ერთი რამე არა გეტყვით: თქვენი საპასუხო წერილიდან, მხოლოდ ჩვენ მასწავლებლებითურთ კრების მოთაგის განკარგულებით ჩვენდა გასაკვირვებლათ აგეყარძალა კრებაზე გასელა—დასწრებაო“. აქსონზე სული და ადვირბეთ, რალა ამას ფიქრობდით ამ ამ ფიქრს ქალღმღებ წყრდით, ვინა ყველადაი, კრების მოთაგით“ სახეში ან ის მაინცა ბძანეთ თქვენის ღვთის პირით რა სახელი უწოდით იმ კაცს, რომელიც კრების მოთაგეს აზრა და ლაპარაკობს საჯაროთ, მაშინ, როდესაც ჯოჯოხეთურმა და აუტანველმა ცხოვრებამ ყველა გუმინდელ უთაურ გლეხებს დღეს თავები გამოაბა თქვენ რომ მ-ს აპრილს ს. გურამიანთ კარში გასულიყავით იქ გაიგონებდით ღმრთის მარხის უფროსს რა უთხრეს გლეხებმა როცა იმან მოსთხოვა თავი კაცები მოსალაპარაკებლათ გლეხებმა ერთხ მათ უპასუხეს ჩვენ ყველანი თავები ვართ, რადგანაც ყველანი ერთ ნაირათ ვიტანჯებით მონობის უღელ ქვეშაო, შენ კი, მაშინ, საკვეყნოთ ყვირი კრების მოთაგემ კრებაზე არ მიმიშვია. ვისთვის გნებავთ ასეთი საჩუქარი ძალათ თავზე მდებავით. აი ამისთანა კაცისათვის ორი სახელია: ან ჯაშუში მოლაღატე ან არ ესმის, რას ამოებს და წერს ესეგი, შეუგნებელი, თქვენ კი ამ ორში რომელიც გნებავთ ის ამოირჩიეთ.

3. 6.

რედ. გამომც. ი. პ. რუსთომაშვილი.

На годъ съ лѣт. 5 р. открыта подписка на 1905 годъ на издаваемый безъ предварительной цензуры еженедельный общедоступный журналъ. IV годъ изда- ния.

ЮРИСТЪ

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТСЯ: при подпискѣ 2 р., 1 Марта 2 р. и 1 Июня 1 р.

Подписка принимается въ Конторѣ «Юриста», С.-Петербургъ, Фонтанка, 86, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Подписчики „Юриста“ въ теченіе 1905 года получаютъ:

- 52 №№ ЖУРНАЛА, выходящаго еженедѣльно по воскреснымъ днямъ и
- 7 бесплатныхъ приложенихъ книгами:
- 1) СБОРНИКЪ Англійск. Судебныхъ процессовъ.
- 2) 6 книгъ законовъ гражданскихъ съ коммент. (Сводъ зак. т. X ч. I изд. 1900 г.). Сост. Прив.-доц. С.-П. Унив. и Тов. Об.-Пр. Пр. Сен. И. М. Тютрюмовъ. Первый опытъ разъясненія законовъ гражд., согласно мнѣніямъ научныхъ авторитетовъ и разъясненіямъ Правит. Сената.
- 6

„Юристъ“ ставитъ себя задачей помогать нашей читающей публикѣ, мало знакомой съ законами, разбираться въ вопросахъ права. Поэтому онъ посвящаетъ свои страницы изложенію въ общедоступной литературной формѣ дѣйствующихъ законовъ и основныхъ правовыхъ понятій. Критикой всего отжившаго и обветшалаго, защитой права и справедливости журналъ надѣется примынуть къ главной работѣ созиданія культурнаго величія Россіи.—„Юристъ“, освобожденный отъ предварительной цензуры, получилъ возможность высказываться болѣе свободно по всѣмъ вопросамъ, входящимъ въ его программу, и эту возможность редакція постарается использовать, чутко отвѣщая на всѣ явленія, волнующія и нынѣ особенно глубоко захватывающія правовые интересы общества. Считаю правильное разбръненіе юридическихъ казусовъ, возникающихъ въ личной жизни читателей, однимъ изъ лучшихъ средствъ распространенія юридическихъ знаній и развитія истиннаго правосознанія, редакція по прежнему посвятитъ особое вниманіе тщательному составленію отвѣтовъ на правовые вопросы подписчиковъ.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ: С. А. Андреевскій, Л. А. Бауновъ, С. М. Барашъ, В. В. Беренштанъ, А. Л. Волынский, А. С. Гольденштейнъ, М. Л. Гольштейнъ, И. М. Гордонъ, О. О. Гурьевбергъ, В. И. Доброволюскій, В. М. Дорощевичъ, Д. А. Дриль, Н. П. Дружининъ, Л. О. Зайденманъ, А. Д. Коротневъ, М. И. Кушинъ, Б. Ф. Кутыловскій, Л. А.

Куперницкій, А. Д. Лодницкій, А. А. Леонтьевъ, А. А. Лукашевичъ, В. А. Маклаковъ, М. С. Маргуцкскій, П. И. Мельниковъ, П. Г. Мироновъ, М. Г. Оршанскій, С. А. Муромцевъ, М. И. Мышь, Н. Я. Новомбергскій, А. Я. Пассовъ, Н. Б. Польшовъ, Г. О. Розенцвейгъ, А. Д. Самуилсонъ, А. П. Турчаниновъ, И. М. Тютрюмовъ, А. М. Тютрюмовъ, Ф. А. Черныскій, А. А. Яблоновскій и др.

Издатель: Прис. Пов. Н. В. Подъяновъ.

Редакторы: Прис. Пов. Н. П. Карабчевскій, Пр. Пов. Л. Д. Ляховскій.